*დანართი №5*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
*(სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
თავმჯდომარე: ირმა ხმელიძე
**წევრები:**
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: ანი მეხუზლატრდ4ე
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი-**ფიქრია მუმლაძე**
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი - **მაია მაძღარაშვილი**
უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი - **ელენე გაფრინდაშვილი**
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი - **ხათუნა ნანობაშვილი**
ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი - **მარინე ჩიტაძე**
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი - **მარიამი ღუბელაძე**
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი - **მზია დადვანი**
სპორტის საგნობრივი ექსპერტი - **მარინა ანესაშვილი**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი - **ნინო ჯოჯიშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 227752250 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | გურჯაანის მუნიციპალიტეტი |
| ფაქტობრივი მისამართი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ახაშენი; ქ.9, N13 |
| საფოსტო ინდექსი | 1500 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/1008 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | akhasheni@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577678707 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N-MES 1 25 0000509951 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2025 წლის 5 და 6 ივნისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ახაშენი, ერთი შენობა; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ზეგაანი, ერთი შენობა |
| | საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | საბაზოს | ქართული | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ახაშენი, ერთი შენობა |
| | საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | აშუალო | ქართული | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ახაშენი, ერთი შენობა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2025 წლის 5-6 ივნისს განხორციელდა. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია. ერთობლივი შეთანხმებით შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, გაიწერა დისტანციურად ჩართვის დროის განრიგი საგნობრივ ექსპერტებსა და სკოლის პედაგოგებს შორის და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ახაშნის საჯარო სკოლის როგორც ზეგაანის სოფლის, ასევე ახაშნის სოფლის ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა საგნის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამების სახით, სკოლის წარმომადგენლებს გავაცანით ძირითადი რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოიკვეთა სკოლის მასალებით, ინტერვიუებისა და ინფრასტრუქტურის გაცნობის შედეგად.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა საუკუნეზე მეტ ისტორიას ითვლის. სკოლა გამოიჩევა მაღალი საგანმანათლებლო მიზნებითა და დიდი პასუხისმგებლობებით. ასევე, გამოირჩევა ადგილობრივი თემისთვის კულტურულ-ტექნოლოგიური მხარდაჭერისა და გაძლიერების კუთხით. აღსანიშნავია, რომ ახაშნის საჯარო სკოლა ოპტიმიზაციის შედეგად მოიცავს სოფელ ზეგნის დაწყებითი საფეხურის მცირე კონტინგენტისა და ზომის სკოლასაც, რომელსაც თავისი არსებობით დიდი როლი შეაქვს სოფლის მაცხოვრებელთა კულტურულ, ეკონომიკურ და შემეცნებით განვითარებაში .

სკოლის გამორჩეული პრაქტიკა გამოიხატება ახაშნის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერის გასაძლიერებლად აქტიურად განხორციელებულ არაფორმალურ, ექსტრაკურიკულარული აქტივობებში. კერძოდ, სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პედაგოგის ხელმძღვანელობით და მოსწავლეთა ინიციატივით არის დაფუძვნებული ტექნოლოგიური კლუბები, რომლებიც აქტიურად ავითარებენ შემეცნების პროცესსა და ჩართულნი არიან თემის პოპულარიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების, მხარდაჭერის სხვადასხვა კონკურსებსა თუ პროგრამებში. ეს კლუბებია:

• 2018-2019 წლებში - კოდის წერის მოყვარულთა კლუბი;
• 2021-2023 წლებში - Tech Club-ი
• 2021-2022 წლებში - ხელოვნური ინტელექტის (AI) კლუბი
• 2021 -2023 წლებში - STEAM კლუბი;

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არაფორმალური განათლების გზით მოსწავლეებს ცოდნა-უნარების შეძენის გარდა, თვითგანვითარების სურვილიც უღვივდებათ. რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი სასკოლო პროექტებსა და კონკურსებში მონაწილეობის პარალელურად, დამოუკიდებლად ერთვებიან და აღწევენ წარმატებებს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტექნოლოგიურ კონკურსებში, ჰაკათონებსა თუ დასაქმების ფორუმებში. როგორიც არის, მაგალითად:

• ტექ.კლუბის მოსწავლეები გურჯაანის ტელევიზიასთან ახორციელებენ თანამშრომლობას.

ასევე ჩართულნი არიან უამრავ ღონისძიებასა და პროექტში:

• თიბისის მხარდაჭერით გამართული ტექნოლოგიური პროექტი — DATA BOOTCAMP;
• გურჯაანის ტექნოპარკში გამართული „ღვინოთონი“ 2023;
• თელავის ტექნოპარკის საინჟინრო ინოვაციების კვირეული:
• საინჟინრო ტექნოლოგიების კვირეული;

• NASA Space Apps Challenge 2022;
• Smart Toys MakeaThon 2022 პროექტი;
• Hardware StartUp ინკუბატორი;
• ბათუმის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ბანაკი;
• გურჯაანის ტექ.პარკის ინოვაციური მეწარმეობის ბანაკი;
• გურჯაანის ტექნოპარკის მიერ ორგანიზებული დასაქმების ფორუმი.

უნდა აღინიშნოს სკოლის კლუბის წევრი უფროსკლასელი მოსწავლეების მიღწევები ტექნოლოგიების მიმართულებით. კერძოდ, 2023 წლის სექტემბრის თვეში, გურჯაანის ტექნოპარკის სივრცეში მათ თავად ჩაატარეს Arduino-ს ვორქშოპები გურჯაანის რაიონში მცხოვრები საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის.

მოსწავლეების და მასწავლებლის დამსახურებით სკოლას არაერთი ჯილდო აქვს მოპოვებული. განსაკუთრებით გამოვყოფდით რამდენიმე მათგანს, ეროვნული თუ საერთაშორისო პროექტებისა და კონკურსების მიმართულებით :

• 2023 წელს STEAM ინოვატორ მასწავლებელთა კონკურსში სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგმა მოიპოვა ადგილი 10 საუკეთესო ფინალისტ მასწავლებელთა შორის, სადაც მოსწავლეებთან ერთად ილიაუნის სანდიეგოს უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე მოსწავლეების ჩართულობით წარადგინა ინოვაციური STEAM პროექტი: „შესაწამლი რობოტი“, რომლის მიზანიც იყო სოფლის თემში არსებული პრობლემების გადაჭრა, ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და მათი მძიმე შრომის შემსუბუქებს კუთხით.

• 2023 წელს ვიზუალური პროგრამირების პლატფორმის გამოყენებით ციფრული თამაშების შექმნის სასკოლო კონკურსში მოსწავლეებმა მოიპოვეს პრიზი II ადგილისთვის;

• 2022 წელს სკოლის AI კლუბის მოსწავლეებმა, თავიანთი ხელით აწყობილი და დაპროგრამებული რობოტებით მონაწილეობა მიიღეს თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ საქართველოს სასკოლო რობოტიკის შეჯიბრში, რაც დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო მოსწავლეებისთვის.

• 2021 წელს ქვეყნის მასშტაბით გაიმართა ციფრული საგანმანათლებლო ჰაკათონი/“Georgia – Digital Education For Future" - სადაც წარადგინეს ინოვაციური საგანმანათლებლო სტარტაპ იდეის პროტოტიპი „ინტერაქტიული ციფრული გლობუსი“ და მოიპოვეს პირველი საპრიზო ადგილი. შედეგად სკოლას გადაეცა 5 ცალი Arduino kit-ის ნაკრები.

• 2021 წელს კახეთის რეგიონის მასშტაბით GITA-ს მიერ განხორციელებულ პრე-აქსელერაციის პროგრამაში ახაშნის სკოლის ტექკლუბის მოსწავლეების 3-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა მასწავლებელთან ერთად, სადაც თავიანთი ციფრული სტარტაპ იდეით მოიპოვეს III ადგილი.

• 2019 წელს მოსწავლეები და მასწავლებელი მიწვეული იყვნენ მასწავლებლის სახლში გამართულ საუკეთესო საერთაშორისო პროექტების პრეზენტაციაზე, პროექტით: “Learning With Games", რომელმაც მიიღო ევროპის ხარისხი. მოსწავლეებს და მასწავლებელს გადაეცათ პრიზები.
• 2023 წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო მედიაწიგნიერების კონკურსზე და მიიღო შესაბამისი ჯილდო;
• აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლამ 2023 წელს პედაგოგი წარადგინა მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე.
• 2019 წლიდან სკოლა თანამშრომლობს საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან და სკოლაში ფუნქციონირებს დებატკლუბი, რომელშიც გაწევრიანებულები არიან საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები. დებატკლუბის ხელმძღვანელი სათანადოდ გადამზადებული მასწავლებელია.
სამოქალაქო კლუბის ინიციატივით და ადგილობრივი თემის მხარდაჭერით სკოლის ეზოში გაშენდა“ ჩანდლერის“ ჯიშის კაკლის ხეივანი და ასევე დაირგო ზეთისხილის ნერგები. სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობით კლუბის მუშაობა დაჯილდოვდა პროექტორით და პლანშეტით, ასევე სხვადასხვა საკანცელარიო თუ სასწავლო რესურსით.

2023 წლის დეკემბრის თვეში, მიმდინარე დებატების ეროვნულ ტურნირზე, ახაშნის საჯარო სკოლის დებატების კლუბის მოსწავლეებმა კიდევ ერთი წარმატება მოიპოვეს. კახეთის რეგიონიდან ერთადერთი გუნდი იყო ახაშნის საჯარო სკოლის გუნდი, ხოლო გუნდის ერთ-ერთი სპიკერი კი საქართველოს მაშტაბით 222 მოდებატეს შორის მოხვდა ტოპ ათეულში.

2024 წლის 14 ოქტომბერს, ჩატარდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის კიდევ ერთი ტურნირი სადაც ახაშნის სკოლის მოსწავლეები პირველ ადგილზე გავიდნენ.

ყველა ეს მიღწევა მიუთითებს სასკოლო საზოგადოების მაღალ მოტივაციაზე, აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობასა და შემეცნებით კულტურაზე, რომლებიც წლების მანძილზე ჩამოყალიბდა და განიცდის მუდმივ წინსვლასა და განვითარებას. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ საჭიროებს სკოლისთვის ძლიერ ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას, რომელიც ამ ეტაპისთვის სუსტ მხარედ შეგვიძლია შევაფასოთ აღნიშნული დასკვნის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| პერსონალის განვითარება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| მოსწავლეთა რაოდენობა: 450 | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | *ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება აღნიშნულ საკითხს, რადგან სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი, რომ უზრუნველყოს 450 მოსწავლე.* |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი 3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ* | *<u>მსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან მიღებული სახანძრ უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა გამოკვლევის აქტების როგორც ახაშნის (აქტი 87)საჯარო სკოლის შენობისთვ ასევე ზეგაანის(აქტი 88) დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობისთის მოიყვანოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებე ნორმებთან შესაბამისობაში და შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებ (27.02.2026-მდე.)</u>* |

**1** გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | *ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ*<br>*დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო ტ*<br>*სამეცნიერო ინფრასტრუქტურ*<br>*განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ*<br>*წერილობითი დასტური (სახელმწიფ*<br>*მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ*<br>*ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ*<br>*შემთხვევაში);* | |
| *3.4.1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლ*<br>*ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ*<br>*დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ*<br>*უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ*<br>*მექანიზმი, უფლებამოსი*<br>*ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ*<br>*საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ*<br>*სკოლის მიმართვა უფლებამოსი*<br>*უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ*<br>*უსაფრთხოების მოთხოვნებთ*<br>*შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ*<br>*ორგანოს მიერ გაცემული შენობ*<br>*ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ*<br>*დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო ტ*<br>*სამეცნიერო ინფრასტრუქტურ*<br>*განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ*<br>*წერილობითი დასტური (სახელმწიფ*<br>*მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ*<br>*ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ*<br>*შემთხვევაში);* | *<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ფიზიკური საფრთხეების პრევენციი</u>*<br>*<u>მიზნით მოახდინოს ავარიული შენობების დროული დემონტაჟ</u>*<br>*<u>შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში , 06.06.2027 წლამდე.</u>* |

| | | |
|---|---|---|
| *3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო ( სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური (სახელმწიფ მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ შემთხვევაში);* | *<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადამდე, (17.07.2027-წლამდე) უზრუნველყოს ახაშნის საჯარო სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ შეფასების დადებითი დასკვნის მოპოვება.</u>* |
| *3.4.1.2* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე პირველადი დახმარებ აღმოჩენას* | *<u>რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში, 18.07.2027 წლამ ორივე შენობისთვის (სოფელი ახაშენი, სოფელი ზეგაანი) თანაბრ უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების მიწოდება .</u>* |
| *3.5.1.1* | *სკოლა ვერ უზრუნველყო საგანმანათლებლო საქმიანობისთვ შესაბამის ინფრასტრუქტურასა მატერიალურ რესურსს, სკოლას არ აქ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია* | *<u>სკოლამ წერილობით უკვე მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.</u>*<br>*<u>სკოლას შესაბამისობის გეგმით აქვს გაწერილი აღნიშნული საკითხ მოგვარება 07.03.2027-მდე.</u>* |

| | | |
|---|---|---|
| *3.5.1.4* | *სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნ სწავლის ინკლუზიურ გარემოს - სკოლას აქვს პანდუსი, ლიფტი* | *სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გაწერი ვადაში01.04.2027-წლამდე, სკოლამ შენობის ინფრასტრუქტურის ფარგლებ უზრუნველყოს ინკლუზიური გარემო (პანდუსის და ლიფტ მოწყობა)სასწავლო დაწესებულების ორივე შენობისთვის(ახაშენი, ზეგაანი) ,* |
| *სტანდარტი N4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | **სკოლის ფილოსოფია** | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.2.1.4.* | *სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულებ გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტურ ვადები, პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი რესურსები, რომელ უზრუნველყოფაც რეალისტურია.* | *სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილ ღონისძიებები და აქტივობები დაალაგოს პრიორიტეტებ მიხედვით,გაითვალისწინოს ავტორიზაციის პროცესში შესაბამისობის გეგმ ვადებში გაწერილი ნაკისრი ვალდებულებები, გამოჰყოს ძირითადი ყველაზე მნიშვნელოვანი განსახორციელებელი, ერთწლიან ვადა დაძლევადი და შესრულებადი ამოცანები სკოლის ფინანსებისა შესაძლებლობების ფარგლებში და შესაბამისად გაწეროს ახალი სასწავ გეგმა.* |
| | | |
| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ* | *ექსპერტების მხრიდან სკოლას აგრეთვე მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| | *უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო ( სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური (სახელმწიფ მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ შემთხვევაში)* | |
| ***3.4.1.1*** | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ* | *ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით, უმჯობესია სადემონტაჟო შენობ საფრთხის შემცველი ტერიტორია ღობით იქნას გამიჯნული სასკოლ საზოგადოებისთვის განკუთვნილი გადასაადგილებელი ტერიტორიისგან.* |

| | | |
|---|---|---|
| | *ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო ( სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური (სახელმწიფ მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ შემთხვევაში)* | |
| *სტანდარტი N4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N4.2.1.5* | *სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;* | *სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვს მოსწავლეთა ინიციატივებ მხარდაჭერის დოკუმენტი, რის გამოც სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშავ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტი.* |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br><br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.2.1.* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)* | სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში ნაჩვენები დამხმარე რესურსების შერჩევისა და დამტკიცების პროცესი იკითხებოდეს კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს შესაბამი ოქმებში. |
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | *დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი მეცნიერებები)* | დაწყებითი საფეხურის (“მე და საზოგადოება”) კურიკულუმებში შემოქმედებით დავალების სვეტში ზოგიერთი მათგანი არ არის სწორად ფორმულირებულ სასურველია, ნათლად ჩანდეს თუ რა პროდუქტს ქმნის მოსწავლე კონკრეტულ საკითხთ მიმართებით. მე-8 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში, პირველ თემაში ვხვდები სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება არ არ გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.2.1* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (უცხოური ენები)* | კარგი იქნება, კურიკულუმებშიც ჩანდეს დიფერენცირებული სწვალების მიდგომები, მა<br>კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწვალეთათვის<br>იძლეოდეს არჩევანს მოსწვალეთათვის, შეთავაზებული იყოს კომპლექსური დავალებ<br>პირობის სულ მცირე ორი ვარიანტი. ( მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრ<br>აღნიშნულ საკითხზე). ასევე, სასურველია, კურიკულუმებში მოცემული იყოს საათებ<br>რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. |
| *ინდიკატორი N2.1.2.2* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (სახელმწიფო ენა)* | სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიაქციონ კომპლექსური დავალებ<br>იდეისა და ცნებების სვეტებს. კომპლექსური დავალების იდეის სვეტში დააკონკრეტო<br>შესაქმნელი პროდუქტი ( ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია ), გახადონ მკაფიო<br>მიუთითონ ამ დავალებით კონკრეტულად რომელი ცნებები და ქვეცნებები მუშავდება. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.2.3* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (უცხოური ენები)* | სასურველია კურიკულუმშიც იყოს გაწერილი დამატებითი რესურსების ჩამონათვალი, ციფრული რესურსების ბმულები. |
| *ინდიკატორი N2.1.2.3* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (სახელმწიფო ენა)* | კარგი იქნება, რესურსებისა და კონტექსტ მაგალითების სვეტებში დაამატონ ტექსტები, მაგ: ანიმაციის, ფილმების, ვიდეო რგოლების, რეპორტაჟების, ინტერვიუების ბმულები, ნიმუშები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს უკეთ შეასრულოს მითითებული დავალება. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.2.3* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა)* | რჩევა1: სასურველია, კურიკულუმებში (კერძოდ, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 და მე-9 კლასებში) ელექტრონული ბმულები ჩაშენებული იყოს შესაბამისი საკითხების სათაურებზე ჰიპერბმულის სახით, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს, ადვილად და რელევანტურად მიუსადაგოს მოცემულ საკითხს თუ ქვესაკითხს ბმულით წარმოდგენილი რესურსი.<br><br>რჩევა 2: სასურველია, მოსწავლეთა დავალების ბარათები გამოყოფილი იყოს ცალკე (იგულისხმება იმ კომპლექსური დავალების ბარათები, რომლებიც არ არის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი), რათა მოსწავლემ ზუსტად იცოდეს დავალების პირობა და, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს მიუბრუნდეს მას. |
| *ინდიკატორი N2.1.2.4* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი მეცნიერებები)* | მეშვიდე კლასის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში საგანში გეოგრაფია გამოყენებულია სამიზნე ცნება „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება გამჭოლია და ყველა თემაში მუშავდება. შესაბამისად, არ არის გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.2.4* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (უცხოური ენები)* | სასურველი სსსმ მოსწავლის გეგმაში ცნებები იყოს სწორად მითითებული. ასევე მეტად და მკაფიოდ ჩანდეს მოსწავლეთა შედეგების აღწერის მონიტორინგი. |
| *ინდიკატორი N2.1.2.5* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი მეცნიერებები)* | შეფასების კრიტერიუმი უნდა წარმოაჩენდეს დადებით ნიშნების (5,6,7,8,9,10) დაწერ ლოგიკას. არადამაკმაყოფილებელი ნიშნები 4, 3, 2, 1 შეფასების კრიტერიუმებით აღიწერება; შესაბამისად, მეათე კლასის გეოგრაფიის განმსაზღვრელი შეფასებ რუბრიკაში მაქსიმალური ქულის გრაფაში ჯამი უნდა იყოს 6. |
| *ინდიკატორი N2.1.2.5* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (ესთეტიკური აღზრდ* | შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგად ხასიათისაა, შესაბამისად მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.2.5* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (სახელმწიფო ენა)* | სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, სასურველია გამოიყენონ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშავონ ახალი დავალებები და აქტივობები. |
| *ინდიკატორი N2.1.2.5* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (მათემატიკა)* | სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისთვის თითოეულ თემაზე (სამივე საფეხურზე). |
| *ინდიკატორი N2.1.2.5* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (სპორტი)* | სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც, კრიტერიუმები გამომდინარეობდეს იმ კონკრეტული თემების საკითხებიდან და აფასებდეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ თითოეულ სამიზნე ცნებას. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.2.1.1* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი მეცნიერებები)* | მნიშვნელოვანია სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვაზე, რომელიც სასწავლო პროცესი დაგეგმვისას აქტიურად უნდა გამოიყენონ რესურსად. |
| *ინდიკატორი N2.2.1.1* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (ესთეტიკური აღზრდ* | რჩევა: საგნობრივი კურიკულუმი უნდა წარმოადგენს მოქნილ ინსტრუმენტს, რომელიც მკაფიოდ უნდა იძლეოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მიღწევა/დაძლევის ჩვენების შესაძლებლობას, შესაბამისად არსებიდათ მნიშვნელოვანია კათედრის დონეზ მასწავლებელთა ჩართულობა ქმედითი კურიკულუმების შემუშავების, დანერგვი მონიტორინგისა და გადამუშავება/ცვლილებების განხორციელების პროცესში.<br>რჩევის სახით ვთავაზობ, გადახედონ სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვი წარმატებულ/წარუმატებელ პრაქტიკებს, მოსწავლეთა შედეგებს, საგნობრივ სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევების ინდიკატორებს და ამ მონაცემ ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ რეალურ საჭიროებებზე დამიზნებული საგნობრივ კურიკულუმები. ქმედითი კურიკულუმებით მუშაობა ძალიან მნიშვნელოვან მოსწავლეთა მიღწევების ჰოლისტურად და ობიექტურად შეფასებისთვის დ განვითარების დინამიკის სრულფასოვნად დანახვისთვის. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.2.1.3* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (საზოგადოებრივი მეცნიერებები)* | მნიშვნელოვანია საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, მოსწავლეთა თვითრეფლექსიის ფორმის შემუშავება, რაც დაეხმარებოდათ მათ თვითრეფლექსიის განხორციელებაში, რათა პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესზე. |
| *ინდიკატორი N2.2.1.3* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა (ესთეტიკური აღზრდ* | რჩევა: კათედრაზე მომუშავე მასწავლებლებმა შეიმუშაონ რამდენიმე ტიპის რუბრიკა(მაგ. პროექტის, ჯგუფური, ინდივიდუალური ან წყვილებში მუშაობის, შექმნილი/დამზადებული ნამუშევრის შესაფასებლად), მკაფიოდ განსაზღვრონ კრიტერიუმების რაოდენობა, მიანიჭონ წონადობა და შედეგების საბოლოო შეფასება კონვერტაციის შედეგად გააკეთონ 10 ქულიან სისტემაზე დაყრდნობით. |
| *ინდიკატორი N2.2.2.2* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)* | კარგი იქნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის პირველ ოქმშიც ასახონ პროცესი, თუ როგორ შეიმუშავებენ დამხმარე რესურსების რეესტრს. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.2.2.2* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(უცხოური ენები)* | სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს რა დამხმარე სახელმძღვანელოებს იყენებენ მასწავლებლები და რომელი თემის ფარგლებში. ასევე კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა ( იხილეთ დანართი მითითებულია, თუმცა, დოკუმენტებშივერ ვერ მოიძებნა ეს დოკუმენტი). |
| *ინდიკატორი N2.2.2.2* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(ესთეტიკური აღზრდა* | რჩევა:<br>1. სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმების გადახედვა/რევიზიის დროს გადაიხედოს დამხმარე რესურსების ბანკიც. კურიკულუმების რესურსების ველში იქ, სადაც აკლია/გამოტოვებულია-მკაფიოდ აღიწეროს ყველა ის დამხმარე რესურსი(ელ.მისამართი, ბეჭდური გამოცემა, სხვა ტიპის რესურსი და სხვა), რაც მოსწავლეს სასწავლო მიზნების მიღწევაში დაეხმარება;<br>2. მნიშვნელოვანია კათედრის დონეზე, კოლეგების ჩართულობით შეირჩეს და დამტკიცდეს ყველა ის სასწავლო მიზნის მქონე დამხმარე რესურსი, რაც ეფექტურად იქნება გამოყენებული შემდგომი წლის სასწავლო პროცესში. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.2.2.2* | *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)* | სასურველია სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრისათვის საჭირო მატერიალური რესურსების განახლება- შეძენაზე. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში ასახულ პოზიციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც გაწერილია სკოლის 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში და ასევე სკოლის 2024-2025 წლების სასწავლო გეგმაში.

სკოლის მისია მოიცავს შემდეგს: აღზარდოს განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი და კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრების უნარის მქონე, ბუნებრივი გარემოს დამცველი, კანონმორჩილი, ტოლერანტი, პატრიოტი მოქალაქე, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. სკოლის ხედვა მოიცავს შემდეგს: სკოლა მომავალი შვიდი წლის განმავლობაში დემოკრატიული მართვის გზით იზრუნებს შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, წამახალისებელი გარემო, რისთვისაც ეფექტურად გამოიყენებს არსებულ ადამიანურ რესურსებს, ინფრასტრუქტურას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და იზრუნებს მის მუდმივ განვითარებაზე.

მისია და ხედვა სრულად გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან და სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**1.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა თავისი მისიითა და ხედვით ასევე მრავალწლიანი გამოცდილებით და სკოლის ძირითად დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, საკუთარი პოტენციალის სრულყოფილად გამოვლენას, მომზადებას თანამედროვე გამოწვევებისთვის. სკოლა

უზრუნველყოფს კვალიფიციური პედაგოგების, მოსწავლეთა და მშობელთა თანამშრომლობით სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხს და შესაძლებლობების ფარგლებში, ხელს შეუწყობს მოსწავლეების მომზადებას თანამედროვე გამოწვევებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებები სრულად გამომდინარეობს სკოლის საჭიროებებიდან, რითაც იგი განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო , ასევე პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე.

**1.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დირექტორის ბრძანება ნ 2-121-1ის საფუძველზე, რომელიც სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნას მოიცავს, მტკიცებულებაა იმისა, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. კერძოდ, სკოლის მისიის და ხედვის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება: საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო. ზეპირი და წერილობითი უკუკავშირის მიღებით გათვალისწინებული იყო მათი ინტერესები, სურვილები და შეხედულებები.

**სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 6 სექტემბრის N 7 სხდომის ოქმის** მიხედვით დამტკიცებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სხდომის ოქმი ასევე ადასტურებს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სკოლის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გათვალისწინებით შექმნილი წლიური გეგმის შემუშავების პროცესში.

**1.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მოქმედი მისიისა და ხედვის გაზიარება განხორციელდა სამეურვეო საბჭოს სხდომებზე ძირითადი დოკუმენტების დამტკიცების პროცესში და ასევე კლასის დამრიგებლების მეშვეობით, რაც გულისხმობს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის სკოლის მისიის შემუშავების პროცესში ჩართვას. სკოლამ წარმოადგინა შეხვედრის დამადასტურებელი მასალები, სადაც ასახულია ინფორმაცია თუ როგორ იყვნენ ჩართულები აღნიშნულ პროცესებში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე და მასწავლებლები. 2024 წლის 12 სექტემბრის საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმი N1-ის მიხედვით მოხდა სკოლის მისიის , ხედვისა და ღირებულებების გაცნობა. რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოებისთვის მის გაზიარებას.

**1.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაწერილია სკოლის სხვადასხვა ძირითად დოკუმენტში. განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობას. სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ვებ გვერდზე (skolebi.emis.ge) რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**1.1.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ"- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის **N448 ბრძანებით**. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზეგნის დაწყებითი სკოლის ოპტიმიზირება განხორციელდა ახაშნის საჯარო სკოლასთან მიერთების გზით ,,ზოგადსაგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 8 აგვიტოს **N400 ბრძანებაში** ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 03 აპრილის **N 239 ბრძანების** საფუძველზე. სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონით დადგენილ ტერმინთან.

**1.1.1.6.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის სასწავლო გეგმა;
2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
3. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. საჯარო რეესტრის ამონაწერი;
5. კითხვარები (მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის);
6. სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge);
7. კათედრის სხდომის ოქმი მისია ხედვა, ღირებულებები;
8. დირექტორის ბრძანება ნ1-121-1 სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის განსაზღვრის შესახებ.
9. სკოლის  სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის პრიორიტეტები .

სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად უნდა შემუშავდეს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შექმნილია და ბრძანებითაა დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც გეგმავს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის, კოორდინაციას უწევს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, უზრუნველყოფს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაციას.

**1.2.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით და შესაბამისობაში არის სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. სტრატეგიული გეგმა შვიდწლიანია და მოიცავს 2024 წლის სექტემბრიდან 2031 წლის სექტემბრამდე პერიოდს. მასში მოცემულია  სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ამოცანების ინდიკატორები და აქტივობები გაწერილია შვიდწლიან პერიოდზე. სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის გადახედვა ხდება საჭიროებისამებრ.

**1.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და მოწოდებული მასალებით დგინდება, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სტრატეგიულ გეგმაში (შვიდწლიან გეგმაში) წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს და იმისათვის, რომ სკოლამ მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, პასუხობს კითხვაზე, თუ რა, როგორ და რა ვადაში უნდა გაკეთდეს აღნიშნული. შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით.

**1.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლას აქვს ვალდებულება სასწავლო წლის ბოლოს, ივნისის ბოლო კვირაში მოახდინოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, ხოლო გამოვლენილი შედეგების მიხედვით შეცვალოს მიდგომები და შეიმუშვოს შედეგების შესაბამისი დოკუმენტი, სამომავლოდ, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სახით. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის ბოლოს, ან ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოხდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში შესრულებული ამოცანების გადახედვა და გააანალიზება. ასევე, მნიშვნელოვანია, სტრატეგიული განვითარების გეგმების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით, ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყოს სკოლის ავტორიზაციის პროცესში წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი ვალდებულებები პერიოდების მიხედვით.

<u>რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებები და აქტივობები დაალაგოს პრიორიტეტების მიხედვით, გაითვალისწინოს ავტორიზაციის პროცესში შესაბამისობის გეგმით ვადებში გაწერილი ნაკისრი ვალდებულებები, გამოჰყოს ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი განსახორციელებელი, ერთწლიან ვადაში დაძლევადი და შესრულებადი ამოცანები სკოლის ფინანსებისა და შესაძლებლობების ფარგლებში და შესაბამისად გაწეროს ახალი სასწავლო გეგმა.</u>

სკოლის მიერ წარმოდგენილი და დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დგინდება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**1.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია;
2.სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3.სამეურვეო საბჭოს ოქმი (სამოქმედო გეგმის დამტკიცება);
4.სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
5.სასკოლო სასწავლო გეგმა;
6.სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
7. სკოლის თითშეფასების დოკუმენტი

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით (თავი 12) გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები. ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. დოკუმენტში ასევე დეტალურად არის გაწერილი პროცესის

თანამიმდევრობა, როგორც ტექსტით, ასევე სქემატურადაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

**1.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **1.2.2.4 ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **1.2.2.4 ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

   ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **1.2.2.4 ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია;
2. სტრატეგიული განვითარების ჯგუფის ბრძანება
3. ვებგვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/1008

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა **2025 წლის 2 ივნისის** დირექტორის **ბრძანება N 2-74-ით** დამტკიცებული სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, 7 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, ესენია: 1. სახელმწიფო ენის კათედრა; 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, 3. დაწყებითი საფეხურის კათედრა; 4. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; 5. უცხო ენათა კათედრა; 6.მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა; 7. ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.
ასევე, სკოლის სტრუქტურაში შეტანილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, მანდატური, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საინფორმაციო მენეჯერი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სკოლის ექიმი, სსსმ პირის ასისტენტი, ტექნიკური პერსონალი(მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი, დარაჯი, დამლაგებელი).
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის **N448 ბრძანებით** დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''.
შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს. აგრეთვე მასწავლებლების ხელშეკრულებები გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით და სრულყოფილად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინსტრის 2019 წლის 20 აგვისტოს **N174/ნ ბრძანებით** დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს.

შედეგად დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურის დოკუმენტით მკაფიოდ არის განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები.

**3.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

2024 წლის 12 სექტემბრის **N 2-157** ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების“ დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, ანგარიშ-ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**3.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის სტრუქტურული სქემა;
2.შინაგანაწესი;
3.ხელშეკრულებები;
4.თანამდებობრივი ინსტრუქციები;
5.სამსახურეობრივი ბარათი

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრული აქვს სკოლის დირექტორის **ნ 2-28 ბრძანებით** დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. ასევე, სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დამტკიცებული დოკუმენტი „ სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები". აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვას ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლაში თანამშრომლის მიღების წესის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე განაცხადით. სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები.

**3.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ სკოლა ეყრდნობა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტს, შინაგანაწესს და დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, დანიშვნის ოქმებს. ასევე, ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლითაც ხელმძღვანელობს სკოლა. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. გარდა ამისა, შინაგანაწესი ადგენს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების მექანიზმებს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს; შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე; იგი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აგრეთვე სკოლის

შინაგანაწესით განსაზღვრულია: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; სამუშაო ადგილი; სამუშაო დროის აღრიცხვა; სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემა; ზეგანაკვეთური სამუშაო. სკოლაში ჩაცმულობის წესი; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა,

**3.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში საგნის ვაკანტური საათების შემთხვევაში გამოცხადდება შიდა, ან ღია კონკურსი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლა აიყვანს შემცვლელ ან მოწვეულ მასწავლებელს.

სკოლის შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც სკოლას გაცხადებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს თანმიმდევრულ პროცესს, აგრეთვე სკოლაში დასაქმების მსურველთა, დასაქმებულთა მიმართ დაწესებულების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და მათი შესრულების ანალიზს. დოკუმენტი აგრეთვე გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით

დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაც განსაძღვრულია კანონმდებლობით. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. გარდა ამისა, პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ. 2020 წლის შემდეგ დანიშნულ მასწავლებელთა პირად საქმეებში ასევე წარმოდგენილია ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

**3.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლაში საშტატო ნუსხით დასაქმებულია 43 პედაგოგი, 29 მათგანი უფროსი მასწავლებლის, 9 კი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონეა . გარდა ამისა, სკოლაში დასაქმებულია 3 სპეციალური მასწავლებელი, 4 მოწვეული პედაგოგი და 1 პრაქტიკოსი სპეც-პედაგოგი. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში მასწავლებლებთან გაფორმებულია სამი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება - უფროსი, წამყვანი და მოწვეული მასწავლებლის. წამყვან მასწავლებლებს შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია დამატებითი ფუნქციები. სპეციალურ მასწავლებლებთან გაფორმებულია უფროსი სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება. გარდა ხელშეკრულებისა, თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია ყველა თანამშრომლის მინიმალური კვალიფიკაცია და კონკურსის წესშიც არის ასახული კონკრეტული პოზიციისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge/ ) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი მასწავლებელთა ვაკანტურ ადგილებზე კანონის სრული დაცვით.

სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ემსახურება ზოგადი პროფილის ექიმი თერაპევტის კვალიფიკაციის მქონე პირი, რომლის პირად საქმეშიც წარმოდგენილია შესაბამისი დიპლომი და სახელმწიფო სერტიფიკატი. სკოლის ექიმი შერჩეულია კანონის სრული დაცვით, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი''. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

**3.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრები ორიენტირებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე. სკოლამ წარმოადგინა კათედრებზე პადაგოგთა შეხვედრების ოქმები სხვადასხვა საკითხში თანამშრომლობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებზე იგეგმება: სამოქმედო გეგმების შემუშავება, კურიკულუმების შემუშავება/გადახედვა, კათედრის წევრების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, აქტუალურია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ კათედრის სხდომაზე ხდება უკუკავშირის მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ საუკეთესო პრაქტიკას და ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს. ასევე, სკოლაში შექმნილია თიმსისა და სოციალური ქსელის (facebook) ჯგუფები, სადაც კოლეგებს შორის ინტენსიურად ხდება სიახლეების, ინფორმაციის, დამხმარე რესურსების გაზიარება.

**3.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში არსებობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების, უკუკავშირის მიღებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების პრეცენდენტები, სკოლის სოციალურ ქსელში ყოველთვის ხდება სასწავლო, სასკოლო თუ სხვა სახის პროექტებთან დაკავშირებული წარმატებული პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარება. სკოლას შემუშავებული და 2024 წლის 24 სექტემბერს დირექტორის ბრძანება ნ 2-

178-ით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე 2023 წლის 9 ნოემბრი დირექტორის ნ2-222 განსაზღვრული არის სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნა, რომელიც თავის საქმიანობაში ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს და 2024 წლის 8 იანვრის სხდომის ოქმით დასტურდება მათი თანამშრომლობა და აქტიურობა.

**3.1.2.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.შინაგანაწესი;
2.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
3.ხელშეკრულებები;
4.თანამშრომელთა პირადი საქმე;
5.სკოლის ვებგვერდი;
6.ურთიერთდასწრების ოქმი;
7.ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება, შეხვედრის ოქმი და დებულება;
8. სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის ამოცანაა, სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით; სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა; ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება; ანალიზის შედეგად საჭიროების დადგენის შემთხვევაში გაუმჯობესების გზების დასახვა და განხორციელება. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება საჭიროებების დადგენასა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში, რომლის მიხედვითაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგების ჩამონათვალიდან მასწავლებლები შეარჩევენ სასურველს. სკოლაში არსებობს ურთიერთდასწრების პრაქტიკა, სასკოლო საზოგადოების ზეპირი გამოკითხვები, რის საფუძველზეც დგინდება კონკრეტული საჭიროებები და ხდება შესაბამისი პოზიტიური უკუკავშირის მიცემა.

**3.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. გასაუბრებით დადგინდა, რომ ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ესწრება პედაგოგთა საგაკვეთილო პროცესს. მოსმენილი გაკვეთილის შესახებ ჯგუფის წევრები აძლევენ პედაგოგს უკუკავშირს, უკუკავშირს განიხილავენ კათედრაზე, ითვალისწინებენ და გასცემენ რეკომენდაციებს, საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავენ შემდეგ აქტივობებს. ხდება ურთიერთდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე, კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგებითა და სხვადასხვა აქტივობებით. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ აქტუალურია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტიც“

**3.2.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, დებულებები: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და შინაგანაწესი უზრუნველყოფს პერსონალის და მისი მოზიდვის მექანიზმებს; პერსონალის შერჩევას; სამუშაო აღწერილობებს; ორგანიზაციაში ადაპტაციას; პერსონალის შეფასებას; პერსონალის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობას; პროფესიულ განვითარებას; წახალისებას და დისციპლინური პასუხისმგებლობას; თანამშრომელთა შორის კომუნიკაციას და არაფორმალურ ურთიერთობებს. შეფასება, როგორც სწავლის საშუალება, პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა, უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლამ 2023 წელს პედაგოგი წარადგინა მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

**3.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ახაშნის საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (2025 წლის 5 მარტის **N2-28** ბრძანებით) და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (2024 წლის 24 სექტემბრის **N2-178** ბრძანებით), სადაც განსაზღვრულია თუ როგორ ზრუნავს სკოლა ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. გარდა ამისა, დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ ხდება ახალი თანამშრომლის ადაპტაცია სასკოლო საზოგადოებასთან. საქმისწარმოებლის და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. წარმოდგენილი დოკუმენტით და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკაც.

**3.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და შინაგანაწესით, სადაც გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები. იყენებენ სიტყვიერი წახალისების ფორმებს. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

**3.2.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
2.ურთიერთდასწრების ოქმი;
3.ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი;
4.მასწავლებლების სერტიფიკატების ფოტო
5.ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა:
6.საინფორმაციო დაფის ფოტო;
7.შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 24 სექტემბრის **№2-178** ბრძანებითაა დამტკიცებული და მოიცავს რეგულაციებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში. გარდა ამისა, განსაზღვრავს: ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ბრძანებითაა განსაზღვრული.

დოკუმენტის მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების პროცედურის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირპროპორციულია სკოლის მისიის და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. სკოლის სასწავლო პროცესის შეფასების ფაზა ციკლურია, შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ციკლზე: „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ხელს უწყობს სკოლაში ხარისხის გაუმჯობესებას.

**3.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ახაშნის საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო პროცესების მმართველობაში ჩართულია დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, თანამშრომლის მიღების წესი, მასწავლებლის საქმიანობის

დაწყებისა და შეწყვეტის წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, თანამდებობრივი ინსტრუქციები, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი .

**3.3.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვა ხდება სკოლის მიერ შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 5 მარტის **N 2- 25 ბრძანებით**) დამტკიცებული დოკუმენტის „საჩივრისა და განცხადებების განხილვის წესის“ შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლა ახორციელებს აღნიშნულ პროცესებს ობიექტურობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. ამ დოკუმენტში გაწერილია ვის და როდის შეუძლია საჩივრის შეტანა, რა სახით/ფორმით, რა ვადებში. ეს პროცედურები სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, კლასის დამრიგებლები ამის თაობაზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს, თანამშრომლები დირექციის მიერ ჩატარებულ შეხვედრაზე ეცნობიან ამ ინფორმაციას. წესი გამოკრულია სკოლის ფოიეში.

სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს გადაცდომას მასწავლებლის, მოსწავლის ან სკოლის სხვა თანამშრომლის მხრიდან. პროცესები ასევე სკოლის შინაგანაწესითაც რეგულირდება, სადაც მოკლედ არის აღწერილი პროცედურები.

თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის, ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

**3.3.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული (2025 წლის 5 მარტის **№ 2-22** ბრძანებით) მშობელთან ურთიერთობის დებულების(კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია როგორც პერსონალის, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. დოკუმენტში ასევე ასახულია მშობელთან, კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, სავალდებულო საგანმანათლებლო-საინფორმაციო თემატური შეხვედრები მშობლებთან, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია და არხები. აღნიშნული დოკუმენტი ეყრდნობა შინაგანაწესს და ამყარებს მას პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის კუთხით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.

**3.3.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. განცხადებების და საჩივრის განხილვის წესი;
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი.
5. სკოლის შინაგანაწესი;
6. ხელშეკრულებები სკოლის თანამშრომლებთან
7.ხელშეკრულებები მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან
8. მშობელთან ურთიერთობის დებულების(კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტი.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე.

სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას, ახორციელებს ინფორმირებას, როგორც პირისპირ შეხვედრის დროს, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით (დახურული ჯგუფები). სკოლის მიერ შემუშავებული და დირექტორის **ბრძანება N 2-35** -ით დამტკიცებული დოკუმენტის - **„საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“** შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის ანალიზი და მომავალი საქმიანობების შედეგების შესაბამისი მიზნებით განსაზღვრა. ეს არხებია:

- მშობელთა კრებაზე ზოგადი მიმოხილვა(მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა სრული დაცვით);
- შეხვედრა Teams -ის ან Zoom-ის ონლაინ პლათფორმების საშუალებით;
- ელექტრონული ჟურნალის მეშუეობით;
- ყოველდღიური კომენტარები დაწყებითი საფეხურის ფარგლებში განმავითარებელი შეფასების ფორმატით;
- მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები;
- ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი;
- სოციალური ქსელების მეშუეობით დახურულ ჯგუფებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლას ასევე აქვს შემუშავებული და დამტკიცებული მშობელთან ურთიერთობის დებულების(კომუნიკაციის სტრატეგიის) დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია როგორც პერსონალის, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლებთან ურთიერთობის წესები, ფორმატი, პერიოდები. ასევე უკუკავშირის მიღების ფორმები.

**3.3.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის წარმომადგენლები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**3.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. კლასის დამრიგებლების დებულება;
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
3. თვითმმართველობის დებულება;
4. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
5.კათედრების  კრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ  უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის**

**განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული და 2024 წლის 12 სექტემბრის დირექტორის **ბრძანება N 2-156-ით** დამტკიცებული - ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები, რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში. დოკუმენტი მოიცავს: ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს; საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს; სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმებს.

სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური. აქედან გამომდინარე უსაფრთხოების ნაწილში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის **№06/ნ ბრძანებით.** სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განთავსებულია 12 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა, რომლებიც სრულად ვერ უზრუნველჰყოფს გარე და შიდა პერიმეტრების ხედვას, იკვეთება სივრცეები, რომელიც არ ექცევა კამერების ხედვის არეში.(სკოლის შენობის უკანა შესასვლელი, მესამე და მეორე სართულების დერეფნები და კაბინეტების შესასვლელები)

აქედან გამომდინარე, ***<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u>*** *<u>დამატებითი კამერების საშუალებით უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე ტერიტორიების სივრცის სრული ვიდეო მონიტორინგი.</u>*

სკოლის სამივე სართულზე და ეზოში მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას მანდატურთან ერთად. სკოლის პირველ სართულზე სასწავლო პროცესის პერიოდში აკონტროლებს შენობაში შემომსვლელ პირებს და აღრიცხავს სარეგისტრაციო ჟურნალში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი პირი. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილების კონტროლზე. სკოლა, ასევე ეყრდნობა შინაგანაწესს და შინაგანაწესის შესაბამისად, მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან დარღვევის დროს, დირექტორი ახდენს შესაბამის რეაგირებას კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლას გაგზავნილი აქვს მოთხოვნა შესაბამის სამსახურთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით, მისამართზე სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის ძირითადი შენობა, მდებარე სოფელ ახაშენში, 2477,4 კვ.მ. მქონე შენობა ნაგებობისათვის და სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლასთან ოპტიმიზირებული ზეგნის დაწყებითი სკოლა, მდებარე სოფელ ზეგაანში, 158,50 კვ.მ მქონე შენობა ნაგებობისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსგან სკოლა ელოდება სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გაფორმებას, რის შემდეგაც მიიღებენ შესაბამისობის დასკვნას.

სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოყოფილი ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. ასევე შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. მაგრამ სკოლას 2025 წლის 10 აპრილს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან აქვს მიღებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტები როგორც ახაშნის საჯარო სკოლის შენობისთვის, ასევე ზეგაანის დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობისთისაც. აღნიშნული აქტებით, **სკოლების შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.**

*სკოლას მიეცა რეკომენდაცია* :

**<u>შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან მიღებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტების როგორც ახაშნის (აქტი 87)საჯარო სკოლის შენობისთვის, ასევე ზეგაანის(აქტი 88) დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობისთისაც მოიყვანოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაში.</u>**

სკოლას რამდენიმე წერილი აქვს გაგზავნილი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში დაფინანსების მოთხოვნით, უფლებამოსილი უწყებისგან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნასთან დაკავშირებით.

სკოლამ წარმოადგინა შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2024 წლის 4 მარტის **ბრძანება N: 2-21** -ით დამტკიცებული სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. გეგმაში გაწერილია რისკის შემცველ სიტუაციებში პასუხისმგებელი პირები და მათი უფლება-მოვალეობები სიტუაციების შესაბამისად. გეგმა

შეთანხმებულია და შესაბამისობით დადასტურებული შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან 2025 წლის 19 მარტის წერილის საფუძველზე.

სკოლის შენობის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის 3.4.1.1. ინდიკატორში გვხვდებოდა შემდეგი სახის ჩანაწერი: **სკოლას არა აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული საბოლოო ვადაა 27.02.2026 წელი იყო გაწერილი, მაგრამ სკოლის მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის ვადებში სკოლამ მიიღო დასკვნა შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებების შესახებ, რომელიც წარმოადგინა დოკუმენტის სახით. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, ახაშნის შენობას აქვს არადამაკმაყოფილებელი შეფასება, ხოლო ზეგნის სკოლის შენობა აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. აღნიშნულ დასკვნაზე დაყრდნობით, სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერა , რომ: „**სკოლა მიმართავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს და შესაბამის ორგანოებს, რათა მოხდეს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების მიზნით კაპიტალური რეაბილიტაციის ჩატარება სპეციალურად შემუშავებული პროექტის მიხედვით და შემდგომ განმეორებით მიმართავს ექსპერტიზის ბიუროს, რათა დაადგინოს სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის ძირითადი შენობის (ახაშნის) ექსპლუატაციის უსაფრთხოება.**“

***<u>ავტორიზაციის ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადამდე (17.07.2027-წლამდე) უზრუნველყოს ახაშნის საჯარო სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ შეფასების დადებითი დასკვნის მოპოვება.</u>***

***ექსპერტების მხრიდან სკოლას აგრეთვე მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.***

სკოლის ეზოში მდებარეობს ორი შენობა-ნაგებობა, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით საჭიროებენ დემონტაჟს. სკოლამ ჯერ კიდევ 2022 წლის 29 ივნისს მიმართა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს აღნიშნულ შენობებთან დაკავშირებით. ექსპერტების დასკვნის შედეგად დადგინდა, რომ შენობები ექვემდებარებოდა დემონტაჟს. ასევე, სკოლამ კულტურის სამინისტროსთან შეათანხმა, და მიიღო დასტური, რომ შენობები არ მიეკუთვნებოდა კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლს. აუდიტმა შეაფასა შენობები(2000 და 5000-ლარად). ერთ-ერთი ძირითადი შენობის მიმდებარედ, რომელიც სკოლის შენობის გაგრძელებაა, მართალია სკოლას ავარიული შენობის შესასვლელები დალუქული აქვს, მაგრამ აღნიშნულ შენობას არ აქვს გადახურვა და მის გარშემო შეიმჩნევა სამშენებლო მასალების ცვენის კვალი, რაც **საფრთხეს უქმნის ეზოში ადამიანების უსაფრთხოდ გადაადგილებას.** ეს ხარვეზი გაიწერა დასკვნის პროექტში, ხოლო ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები. შენობების დემონტაჟის ვადად გეგმით განსაზღვრულია **06.06.1027 წელი**. ***<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია: ფიზიკური საფრთხეების პრევენციის მიზნით მოახდინოს ავარიული შენობების დროული დემონტაჟი შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში 06.06.2027 წლამდე.</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

რადგან სადემონტაჟო შენობა მოცულობითია, საჭიროებს მსხვილ ფინანსებს დემონტაჟის პროცედურების სრულად შესასრულებლად. ამიტომ, სანამ სკოლა მოიპოვებს რესურსებს დემონტაჟის სრულყოფილად განსახორციელებლად *, სკოლას მიეცა რჩევა: ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით, უმჯობესია სადემონტაჟო შენობის საფრთხის შემცველი ტერიტორია ღობით იქნას გამიჯნული სასკოლო საზოგადოებისთვის გადასაადგილებელი ტერიტორიისგან.*

**3.4.1.1 ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი, რომლის ვალდებულებაა პირველადი დახმარების აღმოჩენა. გადაუდებელ შემთხვევაში, იძახებს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ბრიგადას (112-ში დარეკვით).სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი **№41/ნ/01-23/** ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. აგრეთვე, ექიმის ხელშეკრულებით, ფუნქციების აღმწერი დოკუმენტითა და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით გაწერილია სკოლის ექიმის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები. დოკუმენტში განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები სხვადასხვა სიტუაციებში. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ახაშნის და ზეგაანის სკოლების შენობები ერთმანეთთან სამი კილომეტრით არის დაშორებული. ზეგაანის დაწყებით სკოლაში არ არის სამედიცინო კაბინეტი და ექიმი და საჭიროების შემთხვევაში მათ დახმარებას უწევს ახაშნის სკოლის შენობაში მყოფი ექიმი. **უნდა აღინიშნოს,რომ ამ ეტაპზე სკოლა ორივე შენობისთვის თანაბრად ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების მიწოდებას პირველადი დახმარების სახით**. სკოლამ შესაბამისობის გეგმით დაადასტურა, რომ 18.07.2025-18.07.2027 პერიოდში სოფელ ზეგაანში მდებარე დაწყებითი საფეხურის შენობისთვისაც ისევე უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, როგორც ახდენს ამას სოფელ ახაშნის სასკოლო შენობაში. სკოლას მიეცა *რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში, 18.07.2027 წლამდე ორივე შენობისთვის (სოფელი ახაშენი, სოფელი ზეგაანი) თანაბრად უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების მიწოდება .*

**3.4.1.2 ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ **№06/ნ ბრძანების** საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია სამი დარაჯი. სკოლას აგრეთვე შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალსწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

**3.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას; მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებასა და მისი ღირსების დაცვას; სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას; ასევე, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც.

**3.4.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი სკოლის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილია დიასახლისების სამუშაო ვალდებულებები, დასუფთავების გრაფიკი, სტილი და ხარისხის კონტროლის მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულია საშტატო განრიგით დამტკიცებული ოთხი დამლაგებელი (1- ზეგნის დაწყებითი და 3 - ახაშნის სკოლაში). მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მათი ვალდებულებები. ასევე დამატებით, ორივე სკოლის ეზოების დასუფთავებისთვის სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 4 ბენეფიციარი (2- ზეგაანის სკოლა;2 -ახაშნის) დამტკიცებული წესის შესაბამისად სკოლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლი ევალება სკოლის ექიმს. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური

ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათა.

**3.4.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და მის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (**ბრძანება N 2-10**; 29.02.2024 ) და სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე. სკოლას ჰყავს დანიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ხელმძღვანელობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დოკუმენტით.

**3.4.1.6 ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი  და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

**3.4.1.7 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **3.4.1.8 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
2. საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება;
3. საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმების წერილი;
4. მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნის მოთხოვნაზე
5. მიმართვა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით
6. ექიმის ხელშეკრულება;
7. ექიმის სარეგისტრაციო ჩანაწერები;
8. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
9. მშობლებთან შეხვედრის აქტი ნომრების გაცნობაზე;
10. მასწავლებლების მორიგეობის ცხრილი;
11. წყლის სინჯის დასკვნა;
12. სკოლის შინაგანაწესი.
13.შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სამსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის მონაცემების გადამოწმების შედეგად (ბოლო ამონაწერი: 17/09/2015 წლის), სკოლის შენობა განთავსებულია 29865.00 კვ.მ. ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: :N01/02/03/04/05/06 ; შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი: 2477.40 კვ.მ. შენობა N1/3- 840.21 კვ.მ ; N02/1 – 82.31 კვ.მ; N03/1- 32.73კვ.მ; N04/1-33.55კვ.მ ; N 05/1-5.98 კვ.მ; N 06/1-178.60 კვ.მ(ნანგრევი). უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 51.08.59.036 (მესაკუთრე - სახელმწიფო).

სკოლის შენობაში მოქმედი 18 საკლასო ოთახია. საკლასო ოთახებში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარი. სკოლის შენობაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორისთვის განკუთვნილი ოთახები, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი და სამასწავლებლო, კანცელარიის ოთახი, რესურს ოთახი, სათავსო ოთახები, სასაწყობე ოთახი, მანდატურის კაბინეტი, შიდა სპორტული დარბაზი, რომელიც საჭიროებს ძირეულ რემონტს და შესაბამისი მსხვილი სპორტული ინვენტარით აღჭურვას , ასევე, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედნისთვის სივრცე.

სკოლის სველი წერტილები განთავსებულია შენობის გარეთ, ეზოში, სკოლის ცენტრალური გასასვლელიდან დაახლოებით 50 მ -ის მანძლზე, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშოც. რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში აღნიშნული სველი წერტილებით სარგებლობა ქმნის სირთულეს, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლის თანამშრომლებისთისაც. განსაკუთრებით კი დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის, რადგან საპირფარეშოები არ არის მათ საჭიროებებს მორგებული და გათვლილია მხოლოდ მაღალი კლასების მოსწავლეებისთვის.

როგორც უკვე ღინიშნა, ახაშნის საჯარო სკოლა ოპტიმიზაციის შედეგად მიერთებულ ზეგაანის საჯარო სკოლის შენობასაც მოიცავს. აღნიშნული სკოლის შენობა მდებარეობს სოფელ ზეგაანში. სასწავლო პროცესი ხორციელდება ერთსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის მონაცემების გადამოწმების შედეგად (ბოლო ამონაწერი: 17/09/2015 წლის), სკოლის შენობა განთავსებულია 1897.00 კვ.მ. ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: :N01/02/03 ; შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი: 158.50 კვ.მ. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 51.06.51.076 (მესაკუთრე - სახელმწიფო). სკოლის შენობა არის ერთსართულიანი და შედგება 4 სასწავლო ოთახისგან, სამასწავლებლოსგან, სააქტო დარბაზისგან, რომელიც ასევე სპორტულ დარბაზადაც გამოიყენება და ღია აივნის ტიპის დერეფნისგან. სველი წერტილები განთავსებულია სკოლის გარეთ. სკოლის შენობა არის არასტანდარტული ტიპის სასწავლო დაწესებულებისთვის. სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკის ოთახი, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორა და რესურს-თახი. შენობის ფართობი არ იძლევა საშუალებას აღნიშნული კაბინეტების მოსაწყობად.

2006 წელს , იაკობ გოგებაშვილის პროექტის ფარგლებში , სკოლის ძირითად შენობას ფასადური რეაბილიტაცია ჩაუტარდა, და დღეს შენობა კვლავ სარეაბილიტაციოა. სკოლას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში გაგზავნილი აქვს რამდენიმე წერილი რეაბილიტაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2014-2015 სასწავლო წელს ზეგნის დაწყებით სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. სკოლის არცერთ შენობას არ აქვს პანდუსი და ლიფტი. ***<u>სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია,</u>*** სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ არის შესაფერისი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის. **სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობასთან *<u>დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში: 07.03.2027 წლამდე აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი.</u>*** სკოლის ძირითად შენობას, რომელიც სოფელ ახაშენში მდებარეობს აქვს სრულად სარეაბილიტაციო სპორტული დარბაზი და ასევე გარე სპორტული მოედანი. სპორტის გაკვეთილები ტარდება როგორც შიდა, ისე ეზოში არსებულ ღია სპორტული მოედანზე, რომელიც საჭიროებს კეთილმოწყობას, რის თაობაზეც სკოლის მხრიდან არის მიწერილობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში. ყოველივე აქედან გამომდინარე

**3.5.1.1. ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორისა და სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა.

სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო საგნებისთვის ინდივიდუალურად განკუთვნილი ოთახები, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის.

**3.5.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ახაშნის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. სკოლის ბიბლიოთეკის დებულებიდან გამომდინარე, მუშაობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსით მომარაგება. ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია სამუშაო საათები (09:00 საათიდან 17:00 საათამდე) და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში წიგნები განლაგებულია ანბანის კატალოგის მიხედვით, ასევე ბიბლიოთეკარი ხელმძღვანელობს წიგნების აღრიცხვის ელექტრონული ფორმატითაც. ბიბლიოთეკის საცავში ინახება 7268 ერთეული საკითხავი რესურსი. სამკითხველო დარბაზი მოწესრიგებულია და ქმნის მყუდრო და სასიამოვნოდ მშვიდ გარემოს. ბიბლიოთეკარი აქტიურად თანამშრომლობს სკოლის პედაგოგებთან და ამზადებს სხვადასხვა ღონისძიებებს მოსწავლეთათვის. როგორც უკვე აღინიშნა, ახაშნის საჯარო სკოლას ოპტიმიზაციის შედეგად დაექვემდებარა სოფელი ზეგაანის დაწყებითი საფეხურის სკოლა, რომლის შენობა დაშორებულია ახაშნის სკოლის ძირითადი შენობიდან 3 კილომეტრით. სკოლას არ აქვს გამოყოფილი სივრცე ბიბლიოთეკისთვის და არ ჰყავთ ცალკე ბიბლიოთეკარი. მაგრამ ადგილზე, საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა ასაკისთვის შესაბამისი საკითხავი ლიტერატურა და დამატებითი საკითხავი მასალების საჭიროების შემთხვევაში ახაშნის საჯარო სკოლა უზრუნველჰყოფს საჭირო წიგნების დროულად მიწოდებას ზეგაანში არსებული სკოლისთვის.

**3.5.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს: სკოლის შესასვლელში არის სკოლის მიერ გაკეთებული პანდუსი , ადაპტირებული სველი წერტილი ეზოში, რესურსოთახი. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს შშმ პირი, რომლის საკლასო ოთახიც განთავსებულია პირველ სართულზე, რაც ზღუდავს მოსწავლისთვის ბიბლიოთეკით სარგებლობის ხელმისაწვდომობას, საბუნებისმეტყველო კაბინეტში არსებული რესურსებისადმი ხელმისაწვდომობას და ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტით ხელმისაწვდომობასაც. იმისათვის, რომ შშმ პირმა შეძლოს უსაფრთხოდ გადაადგილება სკოლის შენობაში, საჭიროა სკოლას ჰქონდეს ლიფტი. **სკოლამ 2025 წლის 1 აპრილის MES 3 25 0000364206** კორესპონდენციით უკვე მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ამ პრობლემებთან დაკავშირებით. სკოლამ აღნიშნულ საკითხზე შესაბამისობის გეგმაში ორწლიანი ვადით გაწერა პრობლემის აღმოფხვრის ვადები **2027 წლის 1 აპრილამდე**. *უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ზეგაანში მდებარე დაწყებითი საფეხურის სკოლის შენობასაც არ აქვს პანდუსი, რესურს-ოთახი, ექიმის კაბინეტი და ბიბლიოთეკა. აქედან გამომდინარე სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემ*ოს, **სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სკოლამ შენობის ინფრასტრუქტურის ფარგლებში უზრუნველყოს ინკლუზიური გარემო სასწავლო დაწესებულების ორივე შენობისთვის(ახაშენი,ზეგაანი)** ,

**3.5.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**

**5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ფოიეს და დერეფნებს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

**3.5.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. მიმართვები ინფრასტრუქტურის სააგენტოს და მუნიციპალიტეტის მერიას სპორტულ დარბაზზე და მოედანზე და სხვადასხვა

პრობლემებზე;
3. წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს ლიფტსა და პანდუსზე;
4. წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებზე;
5. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის გრაფიკი;
6. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
7. შესაბამისობის გეგმა;
8. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტით და შენობაში არის Wi-Fi , კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 16 პერსონალური

კომპიუტერი, 9 ლეპტოპი, 5 პროექტორი, 1 პრინტერი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისთვის. ლეპტოპები არის ასევე ბიბლიოთეკაში, სამასწავლებლოში. ჯერ კიდევ 2024 წლის იანვარში სკოლას განათლების რესურსცენტრისგან გადაეცა 48 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი და 4 მრავალფუნქციური პრინტერი, რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით. სკოლაში შექმნილია კომფორტული სამუშაო გარემო. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. საჭიროების შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესში, ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია პროექტორით და კომპიუტერით სარგებლობა. სკოლაში სულ არის 6 პრინტერი, რომელსაც სასკოლო საზოგადოება იყენებს საჭიროებისამებრ. ადმინისტრაციის ყველა წევრს აქვს საკუთარი სამუშაო სივრცე.

**3.6.1.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 12 სექტემბრის **N 2-155 ბრძანებით** დამტკიცებულ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესში განსაზღვრულია ისტ-კაბინეტით სარგებლობის წესიც, რომელსაც სკოლა ეყრდნობა სამუშაო პროცესში. სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ, ღონისძიებების და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისწარმოებელი.

**3.6.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
2. ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
3. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
4. კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი.

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით.

**3.6.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow)-სახით. სკოლაში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

**3.6.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.

**3.6.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ოგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

სკოლა ყოველწლიურად, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს".

**3.6.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საქმისწარმოების წესი;
2. საქმისმწარმოებლის შრომითი ხელშეკრულება;
3. 2024 წლის 10 დეკემბრის ანგარიშები;

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელ facebook-ს, სადაც გახსნილი აქვს თავისი

გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის სამუშაო გეგმა და დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც ხედავენ შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები.

**3.6.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის იყენებს ოფიციალურ ვებ.გვერდს (skolebi.emis.ge) სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების შესახებ. ასევე, პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები ეცნობებათ მშობლებს დროულად. ამისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები, პირდაპირი ან სატელეფონო კომუნიკაცია, დახურული ჯგუფები. სკოლაში მოქმედებს სკოლის დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“ , რომელიც საყრდენი დოკუმენტია სკოლისთვის საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში.

**3.6.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **ინდიკატორი 3.6.3.3. ვერ იქნება შეფასებული;**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი (skolebi.emis.ge). სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია ქართულ ენაზე და იგი ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას.

**3.6.3.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა; სტრატეგიული გეგმა; წლიური სამოქმედო გეგმა; პროგრამები, მხარდაჭერის სერვისები; ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები; ინფრასტრუქტურა; ფინანსები. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, აგრეთვე ზემოაღნიშნული ინფორმაცია განთავსებული იყო სოციალურ ქსელში და გამოკრული იყო სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას.

**3.6.3.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ვებგვერდის ლინკი;
2. სკოლის ცოციალური ქსელის გვერდი;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
4. სადამრიგებლო პროგრამა;
5. უკუკავშირის ფორმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. საჭირო რესურსების მისაღებად სკოლა მიმართავს შესაბამის ორგანოებს და უზრუნველყოფს სკოლის სრულ ფინანსურ უზრუნველყოფას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება .

**3.7.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. ყოველი წლის ნოემბრის თვეში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი

და გეგმის ფორმა, შესყიდვების გეგმა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სკოლის საჭიროებები და გეგმის სისტემაში რეგისტრაციაზე და შემდგომ მის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირი. შესყიდვების სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ყოველი წლის 31 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს, საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირება. სკოლის დირექტორი პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, საგნობრივი კათედრების, ბუღალტრის, დირექტორის მოადგილის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს.

**3.7.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის ბიუჯეტი;
2. ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოს;
3. შესყიდვების გეგმა;
4. სისტემაში გეგმის რეგისტრაციაზე და კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესის დოკუმენტი, რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლას ემსახურება: 2 მანდატური, 2 დარაჯი, მორიგე მასწავლებლები. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია და დამტკიცებულია სკოლის მიერ. სკოლაში შემუშავებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას; მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებასა და მისი ღირსების დაცვას; სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინარებულ მოქმედებას; სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოსათვის საფრთხის შექმნაზე რეაგირებას.

**4.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით. მოსწავლის უფლებების დაცვის სადარაჯოზე დგას დისციპლინური კომიტეტი, რომელიც კანონის ფარგლებში უზრუნველყობს სკოლაში არსებული ნებისმიერი წესის, კანონის დარღვევის განხილვისა და მსვლელობის პროცესს.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალეა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია.

**4.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ფორმდება კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულება, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება სკოლაში, მეორე კი - გადაეცემა მშობელს. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება მოვალეობები, ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს უწყდება სტატუსი, ან გადადის სასწავლებლად სხვა სკოლაში, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ავტომატურად წყდება. სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან მოხდა მოსწავლეთა პირადი საქმეების დეტალურად შესწავლა. პირად საქმეებში სრულად იყო წარმოდგენილი მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული კანონის შესაბამისი ხელშეკრულებები. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.

**4.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
2. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი;
3. სკოლის შინაგანაწესი;
4. მშობელთა კრების ოქმი;
5. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

6. სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის **№04/ნ ბრძანება** განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესსა და პირობებს. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს საფეხურის დაძლევის წესს; ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის **№193/ნ ბრძანება** კი - მოსწავლის მობილობის წესს. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის **ბრძანება 2- 27** (5/03/2025 წელი) დოკუმენტად აქვს დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

**4.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა შემუშავებული დოკუმენტისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ვადების დაცვით ახორციელებს და იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში იყო მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების ორი შემთხვევა (ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა საზღვარგარეთ). მშობელმა სკოლას მიმართა განცხადებით და მოითხოვა სტატუსის შეჩერება. ამ განცხადების საფუძველზე დირექტორის მხრიდან ბრძანებით მოხდა სტატუსის შეჩერება, რაც შემდგომ აისახა eSchool-ის ბაზაში. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება

ელექტრონულად, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. თუ მოსწავლე გადმოდის მობილობით, ასეთ შემთხვევაში მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას და იღებს მისგან დასტურს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის ჩარიცხვა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სკოლა ყოველთვის იცავს მოსწავლის ჩარიცხვის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

**4.1.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ამ ეტაპისთვის, სკოლა არ ახორციელებს რაიმე სახის ფასიან მომსახურებას, პროგრამებს.

სოცილური ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სკოლას სხვადასხვა დოკუმენტის სახით აქვს გაწერილი წლის მანძილზე შესასრულებელი აქტივობებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი/გეგმა, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას წინასწარ განისაზღვროს მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევები, შედეგები და შესაბამის ქცევაზე რეაგირების ფორმები.

წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**4.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მშობელთან ურთიერთობის წესები. დირექტორის ბრძანებით დანიშნულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით, თვალსაჩინო ადგილას განათავსებს საჭირო ინფორმაციას. სკოლის სამეურვეო საბჭო, დირექცია და დისციპლინური კომიტეტი აქტიურად დგას სკოლის

უსაფრთხოების სადარაჯოზე იმისათვის, რომ სკოლის, ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
სკოლის სოციალური ქსელით პერსონალის, ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ, არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობები არის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.

**4.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის , სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
2. მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების ბრძანება;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და **2024 წლის 12 სექტემბრის დირექტორის ბრძანება N 2-159-ით** დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტი, რომელშიც რეკომენდაციის სახით გაწერილია ნაბიჯები მშობლების და მასწავლებლების მხრიდან, იმისათვის რომ ადვილად მოხდეს მოსწავლის შეგუება ახალ გარემოსთან. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს უმტკივნეულოდ შეერწყას სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; დეზადაპტაციის ნიშნების განსაზღვრას; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელ ღონისძიებებს და მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პროცედურებს პირველ დღეებში.

**4.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკს საკლასო გარემოს მოწყობისას. მაგალითად, ავეჯის შესაბამისობა ასაკთან, სივრცე მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე. სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სკოლა იწვევს პირველკლასელ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მასწავლებლებისა და გარემოს გასაცნობად. დამრიგებელს სადამრიგებლო პროგრამით გაწერილი აქვს ახალ მოსწავლეებზე მუდმივი მზრუნველობა. პირველკლასელებს აქვთ საშუალება დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს, ტრადიციულად, სკოლას აქვს გახსნის ღონისძიება, რაც მოსწავლეებსა და მათ მშობლებს უქმნის შესაბამის განწყობას. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

**4.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დირექციასთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, მოსწავლეები და მათი მშობლები ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით იგებენ შეფასებას. დაინტერესებული მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლასთან, ინდივიდუალურად ხვდებიან საგნის მასწავლებლებს და მათგან იღებენ საჭირო ინფორმაციას. კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით.

**4.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე ხდება სკოლის შინაგანაწესის, უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან, იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც დასტურდება eflow-ს გადამოწმებით. როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით აცნობენ მათ უფლებებს და მხარდაჭერის პირობებს. ასევე აცნობებენ, რომ შეუძლიათ ნიშნის ამაღლება, კლასის ან საფეხურის ექსტერნის წესით დასრულება, აცნობენ საგამოცდო ვადებს, იციან, რომ ეს მხარდაჭერა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლის მიერ მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მშობლებთან ურთიერთობის წესში. ყოველივე ეს ეცნობა სასკოლო საზოგადოებას შეხვედრებზე ან სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან კომუნიკაციების წესის მიხედვით.

**4.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის თითშეფასების დოკუმენტის გაცნობით, სკოლის სოციალური ქსელის პროფილის შესწავლით, დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციითა და სკოლაში ადგილზე ვიზიტით ნანახი

მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების წახალისებას და დამატებითი ღონისძიებების მხარდაჭერას. ასევე მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები, რაზედაც მიუთითებს სკოლაში არსებული მრავალფეროვანი შემეცნებითი, სასწავლო კლუბების არსებობას.

ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პედაგოგის ხელმძღვანელობით და მოსწავლეთა ინიციატივით დაფუძვნებულია ახაშნის საჯარო სკოლაში ტექნოლოგიური კლუბები, რომლის ხელმძღვანელ-მენტორიც თავად პედაგოგია:

• 2018-2019 წლებში - კოდის წერის მოყვარულთა კლუბი;

• 2021-2023 წლებში - Tech Club-ი https://bit.ly/3LAUtgQ / https://bit.ly/458xf8I

• 2021-2022 წლებში - ხელოვნური ინტელექტის (AI) კლუბი https://bit.ly/48syPW2

• 2021 -2023 წლებში - STEAM კლუბი; https://bit.ly/3O0LqpY / https://bit.ly/3t70j3k

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არაფორმალური განათლების გზით მოსწავლეებს ცოდნა-უნარების შეძენის გარდა, თვითგანვითარების სურვილიც უღვივდებათ. რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი სასკოლო პროექტებსა და კონკურსებში მონაწილეობის პარალელურად, დამოუკიდებლად ერთვებიან და აღწევენ წარმატებებს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტექნოლოგიურ კონკურსებში, ჰაკათონებსა თუ დასაქმების ფორუმებში. როგორიც არის, მაგალითად:

• სკოლის ტექ.კლუბის მოსწავლეები გურჯაანის ტელევიზიაში.

• თიბისის მხარდაჭერით გამართული ტექნოლოგიური პროექტი — DATA BOOTCAMP;

• გურჯაანის ტექნოპარკში გამართული „ღვინოთონი“ 2023;

• თელავის ტექნოპარკის საინჟინრო ინოვაციების კვირეული • საინჟინრო ტექნოლოგიების კვირეული: https://bit.ly/3U6U5bn

• NASA Space Apps Challenge 2022;

• Smart Toys MakeaThon 2022 პროექტი;

• Hardware StartUp ინკუბატორი;

მოსწავლეები ასევე იღებენ მონაწილეობას: ბათუმის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ბანაკში, გურჯაანის ტექ.პარკის ინოვაციური მეწარმეობის ბანაკში და გურჯაანის ტექნოპარკის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმში.

დიდია სკოლის კლუბის წევრი უფროსკლასელი მოსწავლეების მიღწევები ტექნოლოგიების მიმართულებით. კერძოდ, 2023 წლის სექტემბრის თვეში, გურჯაანის ტექნოპარკის სივრცეში მათ თავად ჩაატარეს Arduino-ს ვორქშოპები გურჯაანის რაიონში მცხოვრები საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის.

მოსწავლეების და მასწავლებლის დამსახურებით სკოლას არაერთი ჯილდო აქვს მოპოვებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე მათგანი, ეროვნული თუ საერთაშორისო პროექტებისა და კონკურსების მიმართულებით :

• 2023 წელს STEAM ინოვატორ მასწავლებელთა კონკურსში სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგმა მოიპოვა ადგილი 10 საუკეთესო ფინალისტ მასწავლებელთა შორის, სადაც მოსწავლეებთან ერთად ილიაუნის სანდიეგოს უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე მოსწავლეების ჩართულობით წარადგინა ინოვაციური STEAM პროექტი: „შესაწამლი რობოტი“, რომლის მიზანიც იყო ჩვენი სოფლის თემში არსებული პრობლემების გადაჭრა, ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და მათი მძიმე შრომის შემსუბუქებს კუთხით.

• 2023 წელს ვიზუალური პროგრამირების პლატფორმის გამოყენებით ციფრული თამაშების შექმნის სასკოლო კონკურსში მოსწავლეებმა მოიპოვეს პრიზი II ადგილისთვის;

• 2022 წელს სკოლის AI კლუბის მოსწავლეებმა, თავიანთი ხელით აწყობილი და დაპროგრამებული რობოტებით მონაწილეობა მიიღეს თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ საქართველოს სასკოლო რობოტიკის შეჯიბრში.

• 2021 წელს ქვეყნის მასშტაბით გაიმართა ციფრული საგანმანათლებლო ჰაკათონი/“Georgia – Digital Education For Future" - სადაც წარადგინეს ინოვაციური საგანმანათლებლო სტარტაპ იდეის პროტოტიპი „ინტერაქტიული ციფრული გლობუსი“ და მოიპოვეს პირველი საპრიზო ადგილი. შედეგად სკოლას გადაეცა 5 ცალი Arduino kit-ის ნაკრები • 2021 წელს კახეთის რეგიონის მასშტაბით GITA-ს მიერ განხორციელებულ პრე-აქსელერაციის პროგრამაში სკოლის ტექკლუბის მოსწავლეების 3-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა მასწავლებელთან ერთად, სადაც თავიანთი ციფრული სტარტაპ იდეით მოიპოვეს III ადგილი.

• 2023 წელს სკოლამ მონაწილეობა მიიღო მედიაწიგნიერების კონკურსზე და მიიღო შესაბამისი ჯილდო;

• 2019 წლიდან სკოლა თანამშრომლობს საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან და სკოლაში ფუნქციონირებს დებატკლუბი, რომელშიც გაწევრიანებულები არიან საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები. დებატკლუბის ხელმძღვანელი სათანადოდ გადამზადებული მასწავლებელია.

მოსწავლეები კლუბის გახსნის დღიდან აქტიურად ჩაერთნენ მუშაობაში და შედეგმაც არ დააყოვნა. 2019 წლის მაისის თვეში, რეგიონულ ტურნირზე კლუბის მოსწავლეები პირველ ადგილზე გავიდნენ, ასევე სპიკერები მოხვდნენ 10- საუკეთესო სპიკერს შორის (1-2-4 ადგილებით). 2021 წლის მაის-ივნისის თვეში ჩატარებულ ეროვნულ ტურნირზე, კლუბის მოსწავლეები მონაწილე 126 გუნდიდან მოხვდნენ ჯერ 8 ხოლო შემდეგ 4 საუკეთესო გუნდს შორის. 2023 წლის დეკემბრის თვეში, მიმდინარე დებატების ეროვნულ ტურნირზე, ახაშნის საჯარო სკოლის დებატების კლუბის მოსწავლეებმა კიდევ ერთი წარმატება მოიპოვეს. კახეთის რეგიონიდან ერთადერთი გუნდი, რომელიც ნახევარ ფინალში გავიდა ახაშნის საჯარო სკოლიდან იყო. გუნდის ერთ-ერთი სპიკერი კი საქართველოს მაშტაბით 222 მოდებატეს შორის მოხვდა ტოპ ათეულში.

2024 წლის 14 ოქტომბერს, ჩატარდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის კიდევ ერთი ტურნირი სადაც ბავშვები პირველ ადგილზე გავიდნენ.

წლების განმავლობაში, სემესტრში ორჯერ, კლუბის მეცადინეობებს ესწრებიან დებატებისა და განათლების ინსტიტუტის ტრენერები, რომელთა უკუკავშირი როგორც სკოლა აღნიშნავს, მასწავლებლისთვის და მოსწავლეებს უფრო მეტ მოტივაციას აძლევს.

არანაკლებ წარმატებულია სკოლა სპორტის მიმართულებით. ჰყავთ ფრენბურთის გუნდი, კალათბურთის ორი გუნდი გოგონების და ვაჟების, ხელბურთელთა გუნდი. გუნდები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას სპარტაკიადებში, სპორტულ შეჯიბრებებში და ხშირად დაუკავებიათ საპრიზო ადგილი რეგიონალურ და ქვეყნის მასშტაბით თამაშებზე.

სამოქალაქო კლუბის ინიციატივით და ადგილობრივი თემის მხარდაჭერით სკოლის ეზოში გაშენდა“ ჩანდლერის“ ჯიშის კაკლის ხეივანი და ზეთისხილის ნერგები. სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობით კლუბის მუშაობა დაჯილდოვდა პროექტორით და პლანშეტით, ასევე სხვადასხვა საკანცელარიო თუ სასწავლო რესურსით.

2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებდა კლუბი ქიმიის მოყვარულთათვის ,,პატარა მოლეკულები“, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონკურსში ,,ჩხირკედელა“.

ორი წელია სკოლაში მუშაობს ამერიკელი მოხალისე ,,მშვიდობის კორპუსიდან“, რომელიც აქტიურ დახმარებას უწევს უცხოური ენის პედაგოგებს და მოსწავლეებს გრამატიკისა და მეტყველების დახვეწაში. ზაფხულობით მოხალისე , სკოლის მხარდაჭერით და თანადგომით, აწყობს საზაფხულო ბანაკს, სადაც მრავალფეროვანი აქტივობებით ხალისიან გარემოს ქმნის. ისეთი არაფორმალური აქტივობი როგორიცაა ლაშქრობები, ექსკურსიები, ეწყობა მოსწავლეების და მშობლების ინტერესებით და ინიციატივით. ასევე, რაიონული ინტელექტუალური და რესურსცენტრის მიერ ინიცირებულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა, რომელიც განთავსებულია, როგორც სკოლის სოციალურ გვერდზე, ისე გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის გვერდზე. მიუხედავად სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგები მხრიდან მოსწავლეთა მიმართ ამხელა მხარდაჭერისა და თვითონ მოსწავლეთა ასეთი აქტიურობისა, *სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტი, რის გამოც სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშავოს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტი.*

**4.2.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სკოლამ განმარტა, რომ მომავალში იგეგმება სხვადასხვა ტიპის თვითშეფასების კითხვარების შემუშავება, რომელიც თავის მხრივ დაეხმარება

მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი მიიღოს, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსწავლეთა მომსახურება.

**4.2.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
2. საქმისწარმოების წესი;
3. პროექტის გეგმა;
4. სამოქალაქო და დებატ კლუბის პროექტები;
5. კლუბის მუშაობის რეფლექსია
6. კლუბების წესდებები;
7. უკუკავშირის ფორმები;
8. განხორციელებული პროექტების ფოტო-მასალა და ბმულები.
9. მშობლებთან ურთიერთობის წესი
10. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. აღნიშნულის ხელშეწყობას ცდილობენ სადამრიგებლო საათის მეშვეობით, სადაც დრო ეთმობა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგალითად: განხილვა/საუბრები სხვადასხვა პროფესიების შესახებ, ვიზიტები პროფესიულ კოლეჯებში, სადაც მოსწავლეები ადგილზე ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს. ასევე, სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სკოლა იწვევს მოსწავლეთა მშობლებს, აწყობენ მშობლებთან

კლასის შეხვედრებს, სადაც მშობლები საუბრობენ თავიანთ პროფესიებზე. გარდა ამისა, მასწავლებლები იყენებენ მოსწავლეთა ინტერესების კითხვარს, რის გათვალისწინებითაც ხდება კლუბებისა თუ პროექტების განხორციელება. პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა შესაძლებელია სხვადასხვა კლუბური აქტივობითა თუ პროექტით, რომლითაც სკოლა გამოირჩევა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და უნარების განვითარებას, რაც თავისთავად ეხმარებათ გააზრებული პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. მაგალითად: დებატების კლუბი, პატარა მოლეკულების კლუბი, STEAM პროექტები და სხვა.

**4.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დაწესებულების დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. გარდა ამისა, მოსწავლეები თავადაც სტუმრობენ პროფესიულ კოლეჯებს. სკოლის მეილზე ხშირად შემოდის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კარიერულ განვითარებასა და პროფესიულ ორიენტაციას და სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები).

**4.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.2.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სადამრიგებლო პროგრამა და გეგმა, მე-9 კლასი

2. სადამრიგებლო საათის თემატიკა, მე-9 კლასი
3. უკუკავშირის ფორმები.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლაში არის 19 სსსმ მოსწავლე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს აქვს ხარისხიანი განათლების მიღების უფლება. სკოლა ხელმძღვანელობს „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის **16/ნ ბრძანებით.** სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

დირექტორის სამართლებრივ ადმინისტრაციული აქტით იქმნება იმდენი ისგ ჯგუფი, რამდენი სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეც ირიცხება სკოლაში. ისგ ჯგუფში შედიან: სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, სპეციალური მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები. დადგენილი წესის მიხედვით, წლის განმავლობაში ისგ ჯგუფები იკრიბებიან მინიმუმ ოთხჯერ. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც ყველა საგანში მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით გაწერილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი რესურსებით: თვალსაჩინოებები, თემატური პოსტერები, საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერი, პრინტერი, აღჭურვილია ინტერნეტით და სხვადასხვა საჭირო სასწავლო რესურსით.

ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სკოლის დირექტორს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი აქვს შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლა შიდა მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო წლის ბოლოს, წელიწადში ერთხელ. სკოლას ჰყავს სამი სპეციალური მასწავლებელი და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი.

**4.2.3.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის ფილოსოფიიდან გამომდინარე დაცულია თითოეული მოსწავლის ხარისხიანი განათლების მიღების უფლება, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისაც. სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მიზნით ისგ ჯგუფები წლის განმავლობაში იკრიბებიან მინიმუმ 4-ჯერ, განიხილავენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, შეაფასებენ, საჭიროების შემთხვევაში შეიტანენ ცვლილებებს, მასწავლებლები ისმენენ ერთმანეთის აზრს, ითვალისწინებენ მშობლების მოსაზრებებს. დირექცია მაქსიმალურად ცდილობს მხარი დაუჭიროს სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვას და განვითარებას.

2024 წლის 6 სექტემბრის დირექტორის **ბრძანება N2-124-ით** დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებლის აქტიური ჩართულობით ყურადღება გამახვილებულია მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე, ასევე მოსწავლეების ადაპტაციის პროცესებზე. გეგმით გათვალისწინებულია საჭიროებებზე დაფუძვნებით ჩასატარებელი დამატებითი ღონისძიებები.

ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგებს და დეტალურად გაეცნენ მათ საქმიანობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მუდმივად ხორციელდება სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები.

**4.2.3.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ინკლუზიური განათლების განხორციელების 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
3. შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა არ ახორციელებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება საზოგადოებრივი ტრანპორტი, რომელიც ექვემდებარება მუნიციპალიტეტს. **ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება;**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.3. ვერ შეფასდება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(დაწყებითი საფეხური) | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(საბაზო საფეხური) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(საშუალო საფეხური) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | |
|---|---|
| | ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის "კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში" (ბრძანება N2-151) ვკითხულობთ, რომ აღნიშნული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტში საუბარია პროცესში ჩართულ მხარეებზე და ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტშიც ვკითხულობთ აღნიშნული საკითხის შესახებ, სადაც ხაზგასმულია ურთიერთნამაშრომლობის მნიშვნელობა და გამოყოფილია კათედრებისა და მასწავლებლების როლი, როგორც კურიკულუმზე მუშაობის ნაწილში, ისე მშობლებთან თუ მოსწავლეებთან კომუნიკაციის საკითხებში, რათა კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მათი ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

**2.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. რაც დასტურდება "კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში" (ბრძანება N2-151), ასევე საგნობრივ კურიკულუმებში, "ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში (ბრძანება N2-124) სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორ გეგმავენ ურთიერთნამშრომლობით (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საგნის მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი) სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებსა თუ აქტივობებს ინკლუზიური გარემოს ფორმირებისათვის. სკოლის მისიის, ხედვისა და

ღირებულებების დოკუმენტშიც ვკითხულობთ, რომ მათი ხედვით მნიშვნელოვანია წამახალისებელი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინიციატივების გამოვლენასა და განვითარებას. შესაბამისად, სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებასა და წახალისებას, ხელს უწყობს მათი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას. ამისათვის მათ სთავაზობს მათზე მორგებულ კურიკულუმებს, რესურსებს, სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, პროექტებს, ღონისძიებებს, კლუბურ მუშაობებს და ა.შ., რაც დასტურდება იმით, რომ სკოლაში არსებობს STEAM კლუბი (მათ არაერთ კონკურსში მიუღიათ მონაწილეობა, მაგ: 2023 წელს მე-2 ადგილი მოიპოვეს ვიზუალური პროგრამირების პლატფორმის გამოყენებით ციფრული თამაშების შექმნის სასკოლო კონკურსში), სამოქალაქო განათლების კლუბი, ანხორციელებენ სასკოლო პროექტებს და სხვა. მასწავლებლები აქტიურ კომუნიკაციაში არიან მშობლებთან, მშობლებთან შეხვედრების, კრებების დროს აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის განხორციელების შესახებ და ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს, თუმცა, თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ ისინი აპირებენ მუშაობის გაძლიერებას და მოსწავლეებისა და მშობლების წერილობით გამოკითხვას, რათა მეტად გახდეს შესაძლებელი კურიკულუმში მათი ინტერესების გათვალისწინება. შესაბამისად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და კურიკულუმში ასახავს მათ.

**2.1.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

“კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში” (ბრძანება N2-151) ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს თითოეული მასწავლებელი, დირექცია, მშობელი და მოსწავლე. მასწავლებლები კათედრების შესაბამისად იკრიბებიან, განიხილავენ მიმდინარე პროცესებს, შედეგებს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ითვალისწინებენ ერთმანეთის, მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დირექცია/ადმინისტრაცია, კათედრები მათთან შეთანხმებით გეგმავენ კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა თუ სხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებს. (მაგ: სასკოლო პროექტი, სხვადასხვა შეჯიბრი, კლუბური აქტივობა…). თითოეულ საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით კათედრის სხდომის ოქმს, რომელშიც ვკითხულობთ, რომ კურიკულუმები განიხილება კათედრულ შეხვედრებზე. იგივე დასტურდება მშობლებთან კრების ოქმებშიც, სადაც მშობლებს აცნობენ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტარეტეგიული და სამოქმედო გეგმების შესახებ, აწვდიან ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ “ბრძანება N2-124 - ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” გვეუბნება, რომ საგნის

მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები და სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლეების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ერთობლივად გეგმავენ იმ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიური გარემოს ფორმირებას, რაც თავისთავად წარმოადგენს სასწავლო პროცესის, კურიკულუმის განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**2.1.1.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის "კურიკულუმის განვითარების მეთოდოოგიაში" (ბრძანება N2-151) ვკითხულობთ, რომ მათთვის კურიკულუმის გაზიარება ნიშნავს არამხოლოდ ინფორმაციის ფლობას, არამედ მისი შინაარსის გაზიარებასა და განვითარებაში მონაწილეობას. ამისათვის ისინი იყენებენ კათედრის სხდომებს, სადაც განიხილავენ კურიკულუმის განხორციელებს პროცესში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც მშობლებს აწვდიან ინფორმაციას კურიკულუმის განხორციელების შესახებ, სასწავლო პროცესის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. ასევე, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს და ხელს უწყობენ ინიციატივების გამოვლენას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯაროობისათვის, იმისათვის რომ კურიკულუმი ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოებისათვის იყენებენ სკოლის ვებგვერდს, სოციალურ გვერდსა და ონლაინ ჯგუფებს. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**2.1.1.4.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება N2-151 - "კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N2-124 - "ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ"
- კათედრის სხდომის ოქმები (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე)
- მშობელთა კრების ოქმები (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე)
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ პირველ ეტაპზე მოწოდებულ, ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბუნებისმეტყველო საგანთა კურიკულუმი, სამივე საფეხურზე, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მორგებულია მათ საჭიროებებზე . *<u>რჩევა: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში ნაჩვენები დამხმარე რესურსების შერჩევისა და დამტკიცების პროცესი იკითხებოდეს კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს შესაბამის ოქმებში.</u>* |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | გურჯაანის სოფ. ახაშენის სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე და პირისპირ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები. საწყის ეტაპზე გადმოგზავნილ დოკუმენტაციასთან ერთად, საჭირო გახდა დამატებითი დოკუმენტაციის გადმოგზავნაც, რის შემდეგაც დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად, რასაც ადასტურებს ჩასწორებული კურიკულუმები, დავალების შესრულების დოკუმენტები. სამიზნე ცნებები, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში მთავარი ორიენტირია, თანმიმდევრულად მუშავდება თემებში. შუალედური მიზნები შესაბამისობაშია სასწავლო შინაარსებთან. *<u>რჩევა: დაწყებითი საფეხურის ("მე და საზოგადოება") კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალების სვეტში ზოგიერთი მათგანი არ არის სწორად ფორმულირებული, სასურველია, ნათლად ჩანდეს თუ რა პროდუქტს ქმნის</u>* |

| | |
|---|---|
| | *მოსწავლე კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. მე-8 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში, პირველ თემაში ვხვდებით სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული.* |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისად და პირისპირ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებლი პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებზე მუშაობისას ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები სრულ კორელაციაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის შემოქმედებითი პროდუქტის მაგალითებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებმა და პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში ჩართული ყველა მხარე, ორიენტრებულია მოსწვლეთა შდეგებსა და საჭიროებებზე.ამასთან, დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა რომ უცხოური ენების ( ინგლისური, რუსული, გემანული) კათედრის წევრების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინდივიდუალური მიდგომებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში. *რჩევა: კარგი იქნება, კურიკულუმებშიც ჩანდეს დიფერენცირებული სწვალების მიდგომები, მაგ: კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწვალეთათვის ან იძლეოდეს არჩევანს მოსწვალეთათვის, შეთავაზებული იყოს კომპლექსური დავალების პირობის სულ მცირე ორი ვარიანტი. ( მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს აღნიშნულ საკითხზე). ასევე, სასურველია, კურიკულუმებში მოცემული იყოს საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ.* |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტებისა და დამატებით მოთხოვნილი მასალების შესწავლის საფუძველზე, მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შინაარსი და კურიკულუმის თანახმად განხორციელებული პრაქტიკა (მუსიკა, სახ. და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოადგენს მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარებაზე ორიენტირებულ დოკუმენტს/ინსტრუმენტს; |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წამოდგენი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზაა, შესაბამისად სასწავლო პროცესი მორგებულია მათ საჭიროებებზე. სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში აღნიშნულია სხვადასახვა ტიპის შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომლებიც მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნას ისახავს მიზნად. მსგავსი ტიპის დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მრავალმხრივ განავითრონ სხვადასხვა უნარ-ჩვევები. |
| მათემატიკა | წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას. საკითხები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, თითოეული საკითხისთვის შერჩეულია რელევანტური ელექტრონული რესურსები, დასახულია გრძელვადიანი მიზნები, რომლის მიღწევაც შუალედური მიზნებით-კომპლექსური დავალებით ან პროექტითაა შესაძლებელი. |
| სპორტი | შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებს, ხელს უწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურეობრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების |

| | |
|---|---|
| | შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებლებს აქვთ მზაობა სწორად დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. |

1.1.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხუზე, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები, გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი, სამიზნე ცნებების საშუალებით. წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სავალდებულო საგნობრივი თემები, ესგ-ის საბუნებისმეტყველო საგანთა სტანდარტის მიხედვით. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | გურჯაანის სოფ. ახაშენის სკოლის მიერ დაწყებითი,, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი, სამიზნე ცნებების საშუალებით; წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სავალდებულო საგნობრივი მოთხოვნები, ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად. |
| უცხოური ენები | უცხოურ ენებში, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ შესაძლებელია მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას.<br><br>შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას. მაგალითად, მოსწავლეების მიერ ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენაზე სხვადასხვა თემატიკაზე მომზადებული პოსტერები, ილუსტრიებული ტექსტები, მისალოცი ბარათები, ტურისტული ბუკლეტები ქალაქის შესახებ, მეგობრული წერილები , მაკეტები. |

| | |
|---|---|
| | პედაგოგებმა გასაუბრებისას წარმოადგინეს მოსწავლეთა მრავალფეროვანი ნამუშევრები უცხოურ ენებზე, სადაც გამოყენებული იყო ადაპტირებული სწავლების მიდგომები. |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მკაფიოდ ჩანს საფეხურეობრივი შედეგების მისაღწევად დასახული მიზნები და მათი განხორციელების ლშესაძლებლობები(სამიზნე ცნებები, თემები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები, კომპექსური ბუნების დავალებები). დაწყებითი და საბაზო საფეხურები ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტით დადგენილ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო საშუალო საფეხურზე- პრიორიტეტულ მიმართულებებზე(მაკროცნებები) ორიენტირებულ სავალდებულო პროექტების განხორციელებას. |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები ადასტურებს, რომ სახელმწიფო ენის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ყველა კლასის ჩარჩოში აღნიშნულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები ( სამიზნე ცნებები ), საკითხები, თემები, სავალდებულო თემატური ბლოკები. *<u>რჩევა: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიაქციონ კომპლექსური დავალების იდეისა და ცნებების სვეტებს. კომპლექსური დავალების იდეის სვეტში დააკონკრეტონ შესაქმნელი პროდუქტი ( ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია ), გახადონ მკაფიო და მიუთითონ ამ დავალებით კონკრეტულად რომელი ცნებები და ქვეცნებები მუშავდება.</u>* |
| მათემატიკა | მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას, რაც გულისხმობს მათემატიკის სამ სამიზნე ცნებაზე: მათემატიკურ მოდელზე, კანონზომიერებაზე და ლოგიკაზე მუშაობას, ესგ-ს შესაბამისად. ყველა კლასის მათემატიკის კურიკულუმში ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებისკენ სვლა, გაწერილია ყველა თემა და თემების შესაბამისი საკითხები, ზოგიერთი თემის დამუშავება |

| | |
|---|---|
| | ხდება კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებით, რაც ეხმარებათ მოსწავლეებს ესგ-თი განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. |
| სპორტი | კურიკულუმები შემუშავებულია, ისე რომ, მიემართება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნას. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული ტემატური ბლოკებიდან. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის დამუშავებას საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. |

**2.1.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მატერიალური რესუსიც მწირია, თუმცა, მიუხედავად ამისა კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ელექტრონული რესურსები სრულიად ხელმისაწვდომია მათთვის და აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის (ტელესკოლას,ვირტუალურ ლაბორატორიას). გარდა ამისა, მასწავლებლები და მოსწავლეები ურთიერთნამაშრომლობითაც ქმნიან სხვადასხვა საჭირო რესურსს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დებულებაში - სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ, ასახულია ყველა ის საგანმანთლებლო რესურსი (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები), რომელსაც იყენებენ კურიკულუმებით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, აქტიურად იყენებს ტელესკოლას და ელექტრონული რესურსების პორტალს(https://el.ge/). მათი საშუალებით ხდება კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალების შესრულება. დებულებაში და კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები თანხვედრაშია. |
| უცხოური ენები | კურიკულუმების შესწავლისა და უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მოსწავლეთა სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ სკოლაში ასწავლის ინგლისურენოვანი მასწავლებელი, მეორე წელია მუშაობს ამერიკელი მოხალისე „მშვიდობის კორპუსიდან“ (მასწავლებლის მშობლიური ენა ინგლისურია), რომელიც კათედრის წევრებს აწვდის საინტერესო რესურსებს და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების |

| | |
|---|---|
| | მიღწევას, სამიზნე ცნებების, საკითხების, შუალედური მიზნებისა თუ თემების დამუშავების დროს, მისი როლი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსი. ასევე, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან ციფრულ რესურსს. სკოლის მიერ გამოყენებული ყველა რესურსი ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, სუსტი მხარეების დაძლევას, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა პროდუქტიულობის ზრდასა და მოტივაციის ამაღლებას. *<u>რჩევა: სასურველია კურიკულუმშიც იყოს გაწერილი დამატებითი რესურსების ჩამონათვალი, ციფრული რესურსების ბმულები.</u>* |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმების შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ სკოლა ძირითადად ეყრდნობა სამინისტროს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს(მუსიკა, სახ.და გამოყენებითი ხელოვნება), თუმცა რიგ შემთხვევაში არ არის მკაფიო რა ტიპის დამხმარე/დამატებით რესურსებს იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების რესურსების გრაფები ზოგ შემთხვევაში ცარიელია,რაზედაც მასწავლებლებს მიეცათ მითითება. საერთო ჯამში კურიკულუმებით გათვალისწინებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ადასტურებს, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურუკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებს, კურიკულუმის ჩარჩოში რესურსების სვეტში აღნიშნული ბმულები, ტექსტები, კონტექსტ მაგალითები ნამდვილად ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. *<u>რჩევა: კარგი იქნება, რესურსებისა და კონტექსტ მაგალითების სვეტებში დაამატონ ტექსტები, მაგ: ანიმაციის, ფილმების, ვიდეო რგოლების, რეპორტაჟების, ინტერვიუების ბმულები, ნიმუშები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს უკეთ შეასრულოს მითითებული დავალება.</u>* |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | მათემატიკის კათედრის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ელექტრონული ბმულები მოცემულ საკითხებთან შესაბამისობაშია.<br><br>*<u>რჩევა1: სასურველია, კურიკულუმებში (კერძოდ, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 და მე-9 კლასებში) ელექტრონული ბმულები ჩაშენებული იყოს შესაბამისი საკითხების სათაურებზე ჰიპერბმულის სახით, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს, ადვილად და რელევანტურად მიუსადაგოს მოცემულ საკითხს თუ ქვესაკითხს ბმულით წარმოდგენილი რესურსი.</u>*<br><br>*<u>რჩევა 2: სასურველია, მოსწავლეთა დავალების ბარათები გამოყოფილი იყოს ცალკე (იგულისხმება იმ კომპლექსური დავალების ბარათები, რომლებიც არ არის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი), რათა მოსწავლემ ზუსტად იცოდეს დავალების პირობა და, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს მიუბრუნდეს მას.</u>* |
| სპორტი | სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეარჩიონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით. ასევე, რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, ჯი-პრაიდის პლაკატები, მოდელები და სხვა, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. |

**2.1.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, როგორც სხვადასხვა დავალებების, ასევე, სასწავლო მასალის მიწოდებისას და შეფასებისას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ჰყავთ სსსმ მოსწავლეები, რომლებთანაც მუშაობენ სპეცილური პედაგოგის ჩართულობით, რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილი ისგ-ის მიხედვით. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | გასუბრების დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს და მასალას იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის მოსწავლე ჰყავთ (ვიზუალური, სმენის, კინესთეტიკური და სხვ.). იყენებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა სხვადასხვა დონეზე. წარმოადგეინილი აქვთ ინდ. სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისათვის. მშობლები და სპეციალური პედაგოგები ჩართულნი არიან სწავლის დაგეგმვის პროცესში. *რჩევა: მეშვიდე კლასის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში საგანში გეოგრაფია გამოყენებულია სამიზნე ცნება „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სამიზნე ცნება გამჭოლია და ყველა თემაში მუშავდება. შესაბამისად, არ არის გეოგრაფიის საბაზო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული.* |

| | |
|---|---|
| | |
| უცხოური ენები | ახაშნის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ამას ადასტურებს ის, რომ პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდგეგმის ნიმუში, კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირებულ პრინციპებს. პედაგოგებმა გასაუბრების დროს წარმოადგინეს ინდივიდუალური საჭიორების მქონე მოსწვალეთა ნამუშევრები ინგლისურ ენაში და ისაუბრეს სსსმ მოსწავლეთა შეფასების ინდივიდუალურ მიდგომასა და ადაპტირებული აქტივობების მაგალითების შესახებ. *<u>რჩევა: სასურველი სსსმ მოსწავლის გეგმაში ცნებები იყოს სწორად მითითებული. ასევე მეტად და მკაფიოდ ჩანდეს მოსწავლეთა შედეგების აღწერის მონიტორინგი.</u>* |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ მოწოდებული რესურსების შესწავლისა და მასწავლებლებთან კომუნიკაციის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს და დიფერენცირებულ მიდგომებს, რაზედაც მეტყველებს სხვადასხვა ფორმით/ტექნიკით შესრულებული ერთი და იგივე კონტექსტის მქონე ნამუშევრები(მხატვრულად გაფორმებული ხელნაკეთი ბარათები, ხელნაწერი დავალებები, ბავშვების მომზადებული ელ. საპრეზენტაციო მასალა, ვიდეორგოლი). ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა სურვილებს, სთავაზობენ არჩევითი ხასიათის დავალებებს და ფასილიტაციას უწევენ პროექტებზე/კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის დროს(პროექტი: “რეგიონის კულტურული მემკვიდრეობა”, “ადგილობრივი კულტურული ძეგლების პოპულარიზაცია და მათზე ზრუნვა”, ხალხური მუსიკის შესწავლა, სხვადასხვა სასკოლო პროექტებში მონაწილეობა/ჩართულობის ხელშეწყობა, თემატური ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ.). |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მათი ხედვა დიფერენცირებულ მიდგომებთან დაკავსირებით. გასაუბრების დროს აღინიშნა რამდენიმე მაგალითი დავალებისა და აქტივობების ადაპტირებისა. რამდენიმე დავალების პირობაში მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ შესაქმნელი პროდუქტი. |
| მათემატიკა | სკოლის მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის, ასევე გვაჩვენა ქვიზების ნიმუშები, რაც დიფერენცირებისთვის საჭირო ინსტრუმენტია; კათედრამ წარმოადგინა დიაგნოსტიკური შეფასების ნიმუშები, რაც დასკვნების გაკეთების და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის საშუალებას იძლევა. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ისინი ქმნიან მოსწავლეთათვის ინკლუზიურ გარემოს და რესურსებს. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ გარემოს. |
| სპორტი | პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესი მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს სსსმ მოსწავლისათვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. |
| ტექნოლოგიები | სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. მათ ნიმუშად წარმოადგინეს ისგ მე-2 კლასის მოსწავლისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიური/დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებისათვის. შესაძლებლობების ფარგლებში ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას. ასევე მათ აქვთ სპეცმასწავლებელთან ერთად სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებაც, ურთიერთთანამშრომლობით ადგენენ ისგ-ის, შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას. |

**2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ, საწყის ეტაპზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამებოდა ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მაგრამ უფრო მეტად ზოგადი ხასიათისა იყო, თუმცა, მოთხოვნით გადმოგზავნილი დოკუმენტაციაში - კონკრეტული დავალების შეფასების ნიმუშის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საწყის ეტაპზე წარმოდგენილი რუბრიკები არ უზრუნველყოფდა შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან – არ იყო თვალსაჩინოდ გამოყოფილი სამიზნე ცნებები და დავალებების შესაბამისობა კურიკულუმთან. ზოგიერთ რუბრიკას არ ახლდა სამიზნე ცნებები. |

| | |
|---|---|
| | პირისპირ შეხვედრის შემდეგ რუბრიკები რედაქტირდა და გაიმართა. განახლებული შეფასების სისტემა ასახავს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების პრინციპებს, აჩვენებს კავშირებს ესგ-ის მიზნებთან და საგნობრივ ცნებებთან, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის პროცესის სრულფასოვან ანალიზს. *<u>რჩევა: შეფასების კრიტერიუმი უნდა წარმოაჩენდეს დადებით ნიშნების (5,6,7,8,9,10) დაწერის ლოგიკას. არადამაკმაყოფილებელი ნიშნები 4, 3, 2, 1 შეფასების კრიტერიუმებით არ აღიწერება; შესაბამისად, მეათე კლასის გეოგრაფიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში მაქსიმალური ქულის გრაფაში ჯამი უნდა იყოს 6.</u>* |
| უცხოური ენები | შეფასების რუბრიკების გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, შეფასებაენების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმაში მოცემულ ცნებებს .<br><br>გასაუბრება, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის.<br><br>კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავისა და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირით.<br><br>გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ.<br><br>მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია, შესაბმისად, მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მათი სხვადასხვა |

| | |
|---|---|
| | უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება). პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. ინტერვიუს დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან სასწავლო პროცესს და ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ და ავითარებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების შესწავლის საფუძველზე(როგორც ესთეტიკური აღზრდის ჯგუფში შემავალი საგნების, ასევე სხვა საგნებში არსებული ნიმუშების მიხედვით), შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს და იძლევა საგნობრივი სტანდარტებით დადგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. *<u>რჩევა: შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგად ხასიათისაა, შესაბამისად მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები.</u>* |
| სახელმწიფო ენა | შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სამივე საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული ). *<u>რჩევა: სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, სასურველია გამოიყენონ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი</u>* |

| | |
|---|---|
| | *მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშავონ ახალი დავალებები და აქტივობები.* |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა რუბრიკებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, გარდა ამისა კათედრამ წარმოადგინა ჰოლისტური შეფასების რუბრიკები ჯგუფური მუშაობისთვის, პრეზენტაციისთვის, საკლასო სამუშაოებისთვის, თვითშეფასებისთვის და სხვა. ასევე, წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებით და გამოგზავნილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. *რჩევა: სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისთვის თითოეულ თემაზე (სამივე საფეხურზე).* |
| სპორტი | სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, სასწავლო პროცესის შესაფასებლად თუმცა, ისინი საჭიროებს დახვეწას, რათა მეტად მოერგოს კურიკულუმით გათვალისწინებულ კონკრეტულ თემებს და შეაფასოს სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებისთვის მისაღწევი შედეგი. *რჩევა: სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც, კრიტერიუმები გამომდინარეობდეს იმ კონკრეტული თემების საკითხებიდან და აფასებდეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ თითოეულ სამიზნე ცნებას.* |
| ტექნოლოგიები | სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს |

| | |
|---|---|
| | აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა, თუ როგორ წარიმართოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. |

**2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- მოსწავლის შესასრულებელი შემაჯამებელი დავალების ნიმუში.
- მოსწავლეების მიერ STEM კონკურსში მონაწილეობისას შექმნილი ,, მოფარფატე პეპელა’ -მოდელი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- მოსწავლის დავალების ნიმუშები
- შეფასების რუბრიკები

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- დაწყებით საფეხურზე: “მე და საზოგადოება”, “ჩვენი საქართველოს” დოკუმენტაცია;
- საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნების: გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის დოკუმენტაცია.

- კურიკულუმები - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე;
- პროექტები (მაგ. პროექტი-"მინდა ტოლერანტი ვიყო");
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- შემოქმედებითი დავალების ბარათები
- იინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- შეფასების რუბრიკები

უცხოური ენები:

- უცხოური ენების კურიკულუმები - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე (ინგლისური , რუსული და გერმანული ენები).
- პროექტების გეგმა/ნიმუშები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- შეფასების რუბრიკები

ესთეტიკური აღზრდა:

- მუსიკისა და სახ.და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურები);
- სავალდებულო პროექტების ამსახველი კურიკულუმები(საშუალო საფეხური).
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი აღწერილობითი უკუკავშირის ნიმუში/მაგალითი და რუბრიკებში ნაჩვენები კრიტერიუმები

სახელმწიფო ენა:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კურიკულუმები ( სამივე საფეხურის, ყველა კლასის)
- რამდენიმე კომპლექსური დავალების ბარათი
- კომპლექსური დავალების რამდენიმე დანართი
- ერთი და იგივე კომპლექსური დავალების რამდენიმე ვარიაციის ნიმუში
- მოსწავლის რამდენიმე ნამუშევარი
- შეფასების რუბრიკები

მათემატიკა:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მათემატიკის კათედრის სამოქმედო გეგმა
- მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ურთიერთდასწრების ოქმი
- თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმები (ყველა კლასის)
- მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები
- კომპლექსური დავალების ბარათების ნიმუშები
- დიაგნოსტირების ინსტრუმენტები
- ქვიზების ნიმუშები

სპორტი:

- 12 კლასისი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- კომპლექსური დავალება მე-6 კალსი;
- კომპლექსური დავალება მე-4 კლასი;
- განმავითარებელი შეფასება მე-4 კლასი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუში;
- ისგ-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- წარმატების სიგელები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სერთიფიკატი მედია წიგნიერება;
- განხორციელებული პროექტების ბმულები;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები
- კომპლექსური დავალების ბარათების ნიმუშები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად არის დაგგემილი. ჩარჩო დოკუმენტებში დეტალურადაა აღწერილი რომელი თემებით, საკითხებით, რა თანმიმდევრობითა და რომელი რესურსებით მოახდენენ სამიზნე ცნებების დამუშავებას, რომელი შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა და რის მიხედვით შეფასდებიან ისნი. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წამოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად.<br><br>შეხვედრის დროს ჩანდა, რომ სკოლაში პოზიტიური გარმო და სასკოლო კულტურაა, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწვალის შემოქმედებით პოცესებში ჩართულობისათვის. წარმოდგენილი დავალებები, ცხადყოფს, რომ მოსწავლის ინიციატივების წახალისება წამყვან როლს ასრულებს  სასკოლო ცხოვრებაში. *<u>რჩევა: მნიშვნელოვანია სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვაზე, რომელიც  სასწავლო  პროცესი დაგეგმვისას აქტიურად  უნდა გამოიყენონ რესურსად.</u>* |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამივე საფეხურზე უცხოური ენების ( ინგლისური, რუსული, გერმანული) სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება და კულტურათა დიალოგი, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგეების რეალიზების გზით.პედაგოგებმა |

| | |
|---|---|
| | აღნიშნეს რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების განვითარებას.<br><br>როგორც უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები ემსახურება სასწავლო პროცესის სწორ დაგეგმვას. მასში განსაზღვრული განსაზღვრული სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ესგ- ს შესაბამისად. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის გუნდი მუდმივად ცდილობს სასწავლო პროცესში ეტაპობრივად დანერგონ სიახლეები. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ ამ კუთხით გამოცდილ სხვა სკოლებში მომუშავე კოლეგებთან. ეცნობიან მათ გამოცდილებას, გადიან კონსულტაციას და ეტაპობრივად ნერგავენ სიახლეებს. მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე უკვე ეფექტურად განახორციელეს კომპლექსური ბუნების/შინაარსიანი კონტექსტის მქონე დავალებები, მოსწავლეებს შექმნილი აქვთ მრავალფეროვანი პროდუქტები, მასწავლებლები მუშაობენ საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტებზე და გრძელვადიან თემებში ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ პრიორიტეტულ მიმართულებებს(ეკოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა, სამეწარმეო განათლება და ა.შ.); *<u>რჩევა: საგნობრივი კურიკულუმი უნდა წარმოადგენს მოქნილ ინსტრუმენტს, რომელიც მკაფიოდ უნდა იძლეოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მიღწევა/დაძლევის ჩვენების შესაძლებლობას, შესაბამისად არსებიდათ მნიშვნელოვანია კათედრის დონეზე მასწავლებელთა ჩართულობა ქმედითი კურიკულუმების შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და გადამუშავება/ცვლილებების განხორციელების პროცესში.</u>* |

| | |
|---|---|
| | *რჩევის სახით ვთავაზობ, გადახედონ სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილ წარმატებულ/წარუმატებელ პრაქტიკებს, მოსწავლეთა შედეგებს, საგნობრივი სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევების ინდიკატორებს და ამ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ რეალურ საჭიროებებზე დამიზნებული საგნობრივი კურიკულუმები. ქმედითი კურიკულუმებით მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მიღწევების ჰოლისტურად და ობიექტურად შეფასებისთვის და განვითარების დინამიკის სრულფასოვნად დანახვისთვის.* |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, კათედრამ წარმოადგინა სამივე საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული, მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების რამდენიმე ნიმუში. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე. ამის დასტურად, კათედრამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების შესრულების აქტივობები, მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები, ასევე, რესურსები, რომელიც განაპირობებს სასწავლო პროცესის დაგეგმილის მიხედვით წარმართვას. |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ( სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ართუისე კარგი ინფრასტრუქტურის მიუხედავად. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა ( სასკოლო ფესტივალები), აქვთ წარმატებული შემთხვევები სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მხრივაც. ( სკოლის კალათბურთის გუნდი იმყოფებოდა პოლონეთში გამართულ ტურნირზე). სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სკოლაში სასწავლო პროცესი დაეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, რაც ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. |

**2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ზოგადად, სასწავლო პროცესი წარმოადგენს ცოცხალ/ქმედით პროცესს, რომელიც საჭიროებს მოქნილობას. სკოლის დირექცია მუდმივად მზად არის მხარდაჭერა გამოუცხადოს მასწავლებლებს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის, იქნება ეს რესურსებით ხელშეწყობა, ტრენინგების დაგეგმვა, ღონისძიებების ორგანიზებითა თუ ასე შემდეგ, იმის მიხედვით თუ რა კონკრეტული საჭიროება უდგას სკოლას მოცემულ მომენტში. გარდა ამისა, მასწავლებლები მოქნილად იყენებენ საგნობრივ კურიკულუმებს და შეაქვთ მასში ცვლილებები (მაგ: მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს). აღნიშნული საკითხი, ასევე, დასტურდება ბრძანება N2 - 28 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ, სადაც საუბარია იმაზე თუ როგორ ხდება მასწავლებლის ცვლილება (მაგ: მასწავლებელი იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე), იმისათვის რომ ხელი არ შეეშალოს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას.

**2.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ პირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათის იყო, მაგრამ დამატებით მოწოდებული ერთი დავალების შეფასებიდან ჩანს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებს აქვთ უნარი შექმნან შეფასების ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო ობიექტური და სამართლიანი სისტემა. სკოლას ასევე აქვს შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და ბრძანებით დამტკიცებული შეფასების ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის ზოგადი შეფასების სისტემა. *<u>რჩევა: მნიშვნელოვანია საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, მოსწავლეთა თვითრეფლექსიის ფორმის შემუშავება, რაც დაეხმარებოდათ მათ თვითრეფლექსიის განხორციელებაში, რათა პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესზე.</u>* |
| უცხოური ენები | შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე. პედაგოგებთან ინტერვიუმ და შეფასების რუბრიკების გაცნობამ გამოკვეთა ის ფაქტი, რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა, რა მოდიფიცირებას ახდენენ მასწვალებლები შეფასების პროცესში, რას ემსახურება თითოეული შეფასების რუბრიკის კრიტერიუმი.<br><br>სკოლაში არსებობს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი, ასევე ამის დამადასტურებელია პედაგოგების მიერ განხილული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, სადაც |

| | |
|---|---|
| | წარმოდგენილია მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერა, ქულათა სისტემა და სიტყვიერი კომენტარები. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის ჯგუფში შემავალი საგნების მიერ წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების ნიმუშები(განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები) უდავოდ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა ნაკლებად იძლევა შეფასების ვალიდურობის, გამჭირვალობის, ობიექტურობის, სანდოობისა და სამართლიანობის დადგენის შესაძლებლობას(გამოირჩევა კრიტერიუმების ზოგადი ფორმულირებით და რიგ შემთხვევაში არ ითვალისწინებს 10 ქულიანი შეფასების სისტემის მოთხოვნებს), რაც თავის მხრივ, ეჭქვეშ აყენებს მოსწავლეთა შეფასების სანდოობას და ობიექტურობას. *<u>რჩევა: კათედრაზე მომუშავე მასწავლებლებმა შეიმუშაონ რამდენიმე ტიპის რუბრიკა(მაგ. პროექტის, ჯგუფური, ინდივიდუალური ან წყვილებში მუშაობის, შექმნილი/დამზადებული ნამუშევრის შესაფასებლად), მკაფიოდ განსაზღვრონ კრიტერიუმების რაოდენობა, მიანიჭონ წონადობა და შედეგების საბოლოო შეფასება კონვერტაციის შედეგად გააკეთონ 10 ქულიან სისტემაზე დაყრდნობით.</u>* |
| სახელმწიფო ენა | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაზეც მოწმობს კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რამდენიმე რუბრიკის ნიმუში, რომლებიც უშუალოდ დავალების კრიტერიუმებს ეყრდნობა. |
| მათემატიკა | კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასებები აკმაყოფილებს შეფასების ხუთივე პრინციპს, სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და შეფასების ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი, შესაბამისი ოქმი და ურთიერთდასწრების ოქმი. მოთხოვნის შესაბამისად კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები და შესაბამისი ტესტები, სადაც დავალებებს მინიჭებული აქვს ქულები. გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკებს ეცნობიან მოსწავლეები, შემაჯამებელ დავალებებში დავალებას უწერია ქულები და სხვა. ეს კი გვაძლევს საფუძველს, დავადგინოთ შეფასების სისტემის შესაბამისობა სტანდარტთან. |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის წესი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ - ის მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. სამომავლოდ შეფასების რუბრიკები, მეტი ვალიდურობისათვის საჭიროებს დახვეწას, რის შესახებაც გასაუბრების დროს მიიღეს რჩევა კოლეგებმა და დაფიქსირებულია წერილობით დასკვნის რჩევების ნაწილში. |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების, მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. |

**2.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - ბრძანება N2-183 - შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ ვერიფიკაციის მექანიზმი განხილულ იქნა პედაგოგიურ საბჭოზე და ახალი სასწავლო წლისთვის შემუშავდა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ყველა პროცედურის დაცვით.

**2.2.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

**2.2.1.5 ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ხარისხის წევრი ექსპერტი:

- ბრძანება N2-183 - შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N2-154 - საქმისწარმოების წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N2-10 - პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები
- ბრძანება N2 - 28 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ,

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- სამივე საფეხურის კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

უცხოური ენები:

- სამივე საფეხურის კურიკულუმები
- პროექტის/გეგმა ნიმუში.
- შეფასების რუბრიკები

ესთეტიკური აღზრდა:

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები

სახელწმიფო ენა:

- მოსწავლეთა ნამუშევრები
- კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის წესი

მათემატიკა:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი
- ურთიერთდასწრების ოქმი
- თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმები (ყველა კლასის)
- შეფასების ნიმუშები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი)
- მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები
- კომპლექსური დავალების ბარათების ნიმუშები
- დიაგნოსტირების ინსტრუმენტები

სპორტი:

- 1-12 კლასის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების ვერიფიკაციის წესი

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი შეფასება მე-4 კლასი;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;

დაწყებითი საფეხური:

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

- მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი.

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა სამივე საფეხურზე ძირითად რესურსად იყენებს მხოლოდ გრიფირებულ სახელმძღვანელოს, თუმცა, დამხმარე რესურსად აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა, ვირტუალური ლაბორატორიის სიმულაციები და ა.შ.), რომელთა გამოყენება გამოჩნდა კონკრეტული პროექტის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში და ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენის სკოლის სახოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგები აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში, როგორც კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად სახელმძღვანელოს, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს (მაგალითად: ტელესკოლა, ელექტრონული რესურსების პორტალი(https://el.ge/, სხვადასხვა ვიდეომასალა, პრეზენტაციები და სამუშაო ფურცლები), რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და მოსწავლეთა ინტერესის ამაღლებას. |
| უცხოური ენები | პედაგოგები ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად დამხმარე რესურსებსაც იყენებენ. როგორც აღვნიშნე, სკოლაში ჰყავთ უცხოელი პედაგოგი, რომელიც მათ აწვდის მრვაალფეროვან რესურსს და თავად პედაგოგი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც |

| | |
|---|---|
| | განსაკუთრებული როლის მქონე ადამიანური რესურსი. აქტიურად იყენებენ ინტერნეტ რესურსებს, საგანთა შორის კავშირების /პროექტების დაგეგმვის დროს კი სხვადასხვა საგნების სახელმძღვანელოებს. ასევე, თავად მოსწავლეთა მიერ შექნილ რესურსებს. |
| ესთეტიკური აღზრდა | მასწავლებლები იყენებენ როგორც გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შეთავაზებულ და პირადად კათედრის მიერ შერჩეულ დამხმარე რესურსებს. როგორც მტკიცებულებებზე დაყრდნობით ჩანს და თავად მასწავლებლებმაც აღნიშნეს შეხვედრის დროს, ხშირია სასწავლო მიზნებისთვის თავად მოსწავლეების შექმნილი რესურსების გამოყენებაც(მაგ. ელ. პრეზენტაცია, ვიდეორგოლი, საინფორმაციო ხასიათის პოსტერი/პლაკატი და ა.შ.); |
| სახელმწიფო ენა | მასწავლებლები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს ძირითად რესურსად. სწორედ ამ სახელმძღვანელოების გათვალისწინებითაა წარმოდგენილი თემები და კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები. რესურსები, რომლებიც აღნიშნულია კურიკულუმის ჩარჩოში, ჩანს რამდენიმე დანართში, აქტივობების განხორციელების ეტაპზე. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სკოლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებით, სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, ეს რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული კურიკულუმებში. |
| სპორტი | პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. მართალია სპორტული დარბაზი არცთუისე კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ ამის მიუხედავად, პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებშიც კი, სააწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის |

| | |
|---|---|
| | საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას.ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად სკოლის ადმინისტრაციამ დახმარების თხოვნის წერილითაც კი მიმართა შესაბამის ორგანოს, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. სკოლაში ფუნქციონირებს STEAM კლუბი, სადაც ასევე გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. |

**2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დამხმარე რესურსების ვალიდაციას ყველა წესის დაცვით ახდენენ, შეიმუშავებენ კათედრაზე და აწვდიან დირექციას სასკოლო სასწავლო გეგმაში გასათვალისწინებლად *. რჩევა: 1. კარგი იქნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის პირველ ოქმშიც ასახონ პროცესი, თუ როგორ შეიმუშავებენ დამხმარე რესურსების რეესტრს. 2. სასურველია სკოლამ იზრუნოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრისათვის საჭირო მატერიალური რესურსების განახლება- შეძენაზე.* |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო სკოლაში მოქმედებს კანონით დადგენილი ვადით. სკოლის პედაგოგიური საბჭო, ამტკიცებს გრიფმინიჭებულ და საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოების იმ ნუსხას, რომლებსაც |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლები რეგულარულად გამოიყენებენ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ( დებულება-სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ). |
| უცხოური ენები | პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, ამას ადასტურებს ასევე კათედრის სხდომის ოქმში წარმოდგენილია სახელმძღვანელოების და დამხმარე სახელმძრვანელოების ვალიდურობის შესახებ ინფორმაცია. *<u>რჩევა: სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს რა დამხმარე სახელმძღვანელოებს იყენებენ მასწავლებლები და რომელი თემის ფარგლებში. ასევე კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა ( იხილეთ დანართი მითითებულია, თუმცა, დოკუმენტებშივერ ვერ მოიძებნა ეს დოკუმენტი).</u>* |
| ესთეტიკური აღზრდა | შესწავლის საფუძველზე კურიკულუმებში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტით დადგენილ მისაღწევ შედეგებთან.<br><br>*<u>რჩევა:</u>*<br><br>*<u>1. სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმების გადახედვა/რევიზიის დროს გადაიხედოს დამხმარე რესურსების ბანკიც. კურიკულუმების რესურსების ველში იქ, სადაც აკლია/გამოტოვებულია-მკაფიოდ აღიწეროს ყველა ის დამხმარე რესურსი(ელ.მისამართი, ბეჭდური გამოცემა, სხვა ტიპის რესურსი და სხვა), რაც მოსწავლეს სასწავლო მიზნების მიღწევაში დაეხმარება;</u>*<br><br>*<u>2. მნიშვნელოვანია კათედრის დონეზე, კოლეგების ჩართულობით შეირჩეს და დამტკიცდეს ყველა ის სასწავლო მიზნის მქონე დამხმარე რესურსი, რაც ეფექტურად იქნება გამოყენებული შემდგომი წლის სასწავლო პროცესში.</u>* |
| სახელმწიფო ენა | გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები სკოლაში მოქმედებს კანონით დადგენილი ვადით, სკოლის პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს გრიფმინიჭებულ და საგნობრივი კათედრების მიერ |

| | |
|---|---|
| | შერჩეულ სახელმძღვანელოთა ნუსხას, რომლებსაც მასწავლებლები რეგულარულად იყენებენ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. |
| მათემატიკა | სკოლამ წარმოადგინა კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საიდანაც ჩანს, რომ მათემატიკის კათედრაზე ხდება რესურსების შერჩევა და მათი ვალიდაცია. |
| სპორტი | პედაგოგებთან გასაუბრებითა და კათედრის ოქმებით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ სკოლა ახდენს დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება რესურსების ესგ-ისთან შესაბამისობა, მოწმდება ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. |

**2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეთა ზღვრული ადგილების გათვალისწინებით. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რათა კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწეულ იქნას. |
| უცხოური ენები | სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეთა ზღვრულია დგილების გათვალისწინებით. |
| ესთეტიკური აღზრდა | მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და შესაბამისი მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. |
| სახელმწიფო ენა | სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეთა ზღვრული ადგილების გათვალისწინებით. |
| მათემატიკა | სკოლას აქვს ბევრი საინტერესო ხელშესახები რესურსი, როგორიცაა გეომეტრიული ფიგურების მოდელები, პოსტერები, ასევე, სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს ისტ ტექნოლოგიების კაბინეტს, რომელიც უზრუნველყოფილია ახალი ტექნოლოგიებით და სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია |
| სპორტი | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. |
| ტექნოლოგიები | სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული |

| | |
|---|---|
| | კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. შერწყმულ ზეგაანის დაწყებით სკოლაში, მოსწავლეები სარგებლობენ საკუთარი ბუკებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდრტთან. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები  და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. |

**2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი, რაც დასტურდება საშტატო განრიგითა და ბრძანება N2-33 - დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულების დამტკიცების შესახებ, ასევე, ბრძანება N2 - 28 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ, სადაც საუბარია იმაზე თუ როგორ ხდება მასწავლებლის ცვლილება, იმისათვის რომ ხელი არ შეეშალოს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა ისაუბრა იმაზე, რომ ახლა პედაგოგები ასწავლიან საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებს (მაგ: საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები…) მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან კანონმდებლობის მიხედვით მათ სწავლების უფლება აღარ ექნებათ, თუმცა, როგორც დირექტორმა აღნიშნა, ასეთი

მასწავლებლები დარეგისტრირებულნი არიან საგნის გამოცდაზე და თუ გამოცდაზე საკმარისს ქულებს ვერ დააგროვებენ, სკოლა გამოაცხადებს ვაკანსიას საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

**2.2.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*ხარისხის წევრი ექსპერტი:*

- *გრძანება N2-33 - დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულების დამტკიცების შესახებ*
- *გრძანება N2 - 28 - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ*
- *საშტატო განრიგი*

*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*

- *საგნობირივ კურიკულუმები*

*საზოგადოებრივი მეცნიერებები:*

- *საგნობრივი კურიკულუმები*

*უცხოური ენები:*

- *სამივე საფეხურის კურიკულუმები უცხოურ ენებში*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა*
- *კათედრის სხდომის ოქმი*

*ესთეტიკური აღზრდა:*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი*
- *კურიკულუმები*
- *მოსწავლეების შექმნილი რესურსების ამსახველი მტკიცებულებები*

*სახელმწიფო ენა:*

- *კურიკულუმები ( სამივე საფეხურის ყველა კლასის )*
- *რამდენიმე კომპლექსური დავალების დანართი.*
- *დებულება-სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ*
- *ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული ბმულების ნუსხა*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

*მათემატიკა:*

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *მათემატიკის კათედრის სამოქმედო გეგმა*
- *მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმები*
- *კურიკულუმები (ყველა კლასის)*
- *კომპლექსური დავალების გარათების ნიმუშები*
- *დიაგნოსტირების ინსტრუმენტები*
- *სკოლის ისტ ტექნოლოგიების კაბინეტის და მათემატიკური მოდელების სურათები*
- *ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული გმულების ნუსხა*

*სპორტი:*

- *1-12 კლასების კურიკულუმები.*
- *კათედრის სხდომის ოქმები*

*კომპიუტერული ტექნოლოგიები:*

- *სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;*
- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;*
- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;*
- *კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;*
- *განხორციელებული პროექტების გმულები;*
- *მოსწავლეების მიერ აწყობილი რობოტების ფოტო;*
- *მოსწავლეების მიერ შექმნილი შესაწამლი რობოტის ფოტო;*
- *კათედრის ოქმი N1;*
- *ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი;*

*დაწყებითი საფეხური:*

- *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*
- *ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული გმულების ნუსხა*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ახაშნის საჯარო სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდლოგიის შესაბამისად, რაც დასტურდება ბრძანება N2-151 - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ ისინი იყენებენ კათედრულ განხილვებს, ურთიერთდასწრებას, მონაცემების მოგროვებითა და ანალიზით, დავალებების ანალიზითა და ინოვაციების დანერგვით ცდილობენ მონიტორინგსა და შეფასებას კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნული საკითხი დასტურდება კათედრის ოქმებითაც (თითოეულ საფეხურზე), სადაც განხილულია კურიკულუმის განხორციელების პროცესი.

**1.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მოსწავლეებს აფასებენ საკლასო და შემაჯამებელი დავალებით, ხელს უწყობენ ინიციატივების**

**გამოვლენას, კლუბურ მუშაობასა და პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა ჰოლისტური შეფასების რამდენიმე ნიმუში, შესაბამისად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. აღნიშნული დასტურდება ბრძანება N2-185 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ, სადაც საუბარია ხარისხის უზრურნველყოფის ციკლზე, რომელშიც საუბარია კურიკულუმებზე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და ხარისხზე, იმაზე რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება იმას, რომ შემოწმდეს თუ რამდენად სწორადაა შერჩეული სწავლების მეთოდები, რესურსები, შეფასების რუბრიკები, რამდენად შესაბამისობაშია დაწერილი და განხორციელებული კურიკულუმები ერთმანეთთან.

**2.3.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც დასტურდება ვერიფაკაციის წესის დოკუმენტსა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში. გარდა, ამისა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ურთიერთდასწრების კომპონენტი, კათედრული შეხვედრები და იმის განხილვა თუ რა განხორციელდა წარმატებით, რა იყო მათთვის ხელისშემშლელი, რა უნდა დაიგეგმოს განსხვავებულად, როგორ გააუმჯობესონ გასაუმჯობესებელი მხარეები და როგორ გააძლიერონ ძლიერი მხარეები. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა და სკოლის დირექციამ აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ ერთმანეთს და ურთიერთთანამშრომლობით გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. დირექცია საჭიროებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მასწავლებლების მხარდაჭერას რესურსებით, ტრენინგებით და სხვა მათთვის საჭირო კომპონენტებით.

**2.3.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ბრძანება N2-151 - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- *ბრძანება N2-185 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი*
- *კათედრის ოქმები (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე)*

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა, შეფასებისას ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც დასტურდება ბრძანება N2 - 183 - შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ, სადაც საუბარია იმაზე, რომ ვერიფიკაცია გულისხმობს სამ მიმართულებას: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს, რომ გეგმავენ მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას.

**2.3.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მოსწავლეებს აფასებენ საკლასო და შემაჯამებელი დავალებით, ხელს უწყობენ ინიციატივების გამოვლენას, კლუბურ მუშაობასა და პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა ჰოლისტური შეფასების რამდენიმე ნიმუში, შესაბამისად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

**2.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, მაგალითად: შემაჯამებლის ანალიზი, კომპლექსური ბუნების დავალება, ქვიზები/ტესტები, ჯგუფური სამუშაოები, ურთიერთ და თვითშეფასება. თუმცა, როგორც თავად აღნიშნავენ თვითშეფასების კითხვარში და ამაზე ისაუბრეს

ვიზიტის დროსაც, ამ ეტაპზე ძირითადად იყენებენ ზემოთჩამოთვლილ მეთოდებსა და ზეპირ უკუკავშირს (ურთიერთ და თვითშეფასებას) შემდეგი სასწავლო წლისათვის კი ისინი გეგმავენ მოსწავლეებთან ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფებს.

**2.3.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, SOLOტაქსონომიას, ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს, ურთიერთ და თვითშეფასებას, შემაჯამებლებისა და თუ სხვა ტიპის დავალებების ანალიზს. შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის მზაობას, მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და უნარებს.

**2.3.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ბრძანება N2 - 151 - კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ*
- *ბრძანება N2 - 183 - შეფასების ვერიფიკაციის წესი*
- *სასკოლოს სასწავლო გეგმა*
- *თვითშეფასების კითხვარი*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
- *შეფასების რუბრიკები (განსაზღვრელი, განმავითრებელი, ჰოლისტური)*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის "კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში" (ბრძანება N2-151) ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებას ემთხვევა. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები კათედრების მიხედვით იკრიბებიან და განიხილავენ მიმდინარე პროცესებს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, მიმართავენ ურთიერთდასწრების კომპონენტს, მშობელთა კრებებზე განიხილავენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს და ხელს უწყობენ მათი ინიციატივების გამოვლენას. სწორედ ამ საკითხების გათვალისწინებით, ისინი ქმნიან კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

**1.4.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშნის საჯარო სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ წლის ბოლოს კათედრებზე განიხილავენ თუ როგორ იმუშავა საგნობრივმა კურიკულუმებმა, იმსჯელებენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ვიზიტის დროს ასევე აღნიშნეს, რომ აღნიშნულის განხილვაში ჩაერთვებოდა სკოლის დირექციაც, საკითხს გაიტანენ პედაგოგიურ საბჭოზე, გარდა ამისა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ მშობელთა კრებაზე, მასწავლებლები სასწავლო პროცესის, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ უკუკავშირს (ზეპირი გამოკითხვით) მიიღებენ მოსწავლეებისაგანაც და კურიკულუმში გაითვალისწინებენ მათ ინიციატივეს. ამ გამოცდილების საფუძველზე კი, სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე, კურიკულუმებზე. აღნიშნული დასტურდება "კურიკულუმის განვითარების მეთოდლოგიის დოკუმენტში" (ბრძანება N2-151).

**2.4.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი*
- *ურთიერთდასწრების ნიმუში*
- *კათედრის სხდომის ოქმები (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე)*
- *მშობელთა კრების ოქმები (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე)*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-151)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| | | |
|---|---|---|
| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 23.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: ანი მეხუზლა

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი-ფიქრია მუმლაძე

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი -  მაია მაძღარაშვილი

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი - ელენე გაფრინდაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი - ხათუნა ნანობაშვილი

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი - მარინე ჩიტაძე

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი - მარიამი ღუბელაძე

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი - მზია დადვანი

სპორტის საგნობრივი ექსპერტი - მარინა ანესაშვილი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი - ნინო ჯოჯიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: